# ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას!




# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 22 აპრილი. 2024 წელი №48-49 (9728-9729) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ნამუსგარეცხილო მაცდუნებლებო! –

იხ. 3 გვ.



## თავი დაანებეთ

## ახალგაზრდების ცრუპოლიტიკურ განამგანიაში ჩათრევას!

**მართალია, გასული კვირის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით ბევრი საინტერესო რამ მოხდა, ტრაგიკულიც და სახალისოც, მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ყველაფერი პირწმინდად გადაფარა.**

თავად განსაჯეთ: მთელი მსოფლიო სულგანაბული შეჰყურებს მოვლენათა ტრაგიკულ განვითარებას უკრაინაში, სადაც რუსეთი დღითი დღე აძლიერებს შეტევებს. მისი ბოლო სამიზნე დნეპროპეტროვსკი და ხარკოვია. არანაკლებ ტრაგიკული ვითარებაა მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც ისრაელ-ჰამასის ომში უკვე ოფიციალურად ჩაერია საბრძოლო მოქმედებებიდან ათასი კილომეტრით დაშორებული ირანი – გასულ კვირას მან ასეულობით საბრძოლო ჭურვით, ბალისტიკური რაკეტით, კამიკაძე-დრონებით ისრაელისთვის „ჭკუის სწავლება" სცადა. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამერიკის სამხედრო ძალების ძალისხმევით, ირანული ბომბების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისრაელის საჰაერო სივრცემდე ვერ მიაღწია. ბანდიტური ჰამასის მხარდასაჭერად მზად არიან ლიბია, იორდანია და ზოგიერთი სხვა არაბული სახელმწიფო. ისრაელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მზად არის ირანისთვის პასუხის გასაცემად.

შაბათს, 20 აპრილს ცბიერმა ისრაელმა რაღაც „სათამაშო" დრონებით შეუტია ირანს, მაგრამ... ირანი ანკესს აღარ წამოეგო!

## გიორგი მამაცაშვილი
## დიახ, ეს ყველაფერი არ იციან ჩვენმა შვილებმა!

8

არა – ნებისმიერ კანონს, რომელიც ელჩებისა და სენატორების კარნახით იწერება და არა აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება ის თუ მონღოლური!

არა – საააკაშვილის სისხლიან(!) რეჟიმს და მერაბიშვილისა და კეზერაშვილის დაბრუნების იდეურ მსურველებსაც ჩემი პროტესტი!

არა – ოკუპანტ რუსეთს და ნებისმიერ ოკუპანტ ქვეყანას!

და მითუფრო, მათგან სისხლს მოწყურებული სვავების გასაძღომად გადმოგზავნილ ფულს!

კი – გამჭვირვალობასა და ევროპულ საქართველოს!

ოღონდ ისეთი ევროპისას, სადაც სულხან-საბას კვლავ წვერით არ ათრევენ და ლუდოვიკოსთან მეთოთხმეტე კაცად არ ჩაწერენ!

კი – ევროპას, მაგრამ უფრო დიდი და ხვავრიელი კი – თავისუფალ, მშვიდობიან, დამოუკიდებელ, სულქართულ და მზექართულ საქართველოს!

## რაულ ჩილაჩავა
## რას მოგვითხრობს წუთისოფლის წიგნი

6




## სპარტაკ ქობულია
## ქართული პედაგოგიკის მკვლელობა სამიდღემჩიოდ გადაიდო!

7

## რაულ ჯახია



13

## სიმართლითა და ღირსებით შემკული

## გადმოვქაჩავთ ოფშორებში შენახულ სიმდიდრეს? ვინ იხეირებს?!

15

## „ენჯეოების რევოლუცია" არ უნდა დავუშვათ!!!

5

## დღის ცოცხლებში

### „სალომე დაპაშოლებული“



ტერორისტების მფარველი ზურაბიშვილი თავისი მორიგი ზონდერის ხელით მოსაკლავად იმეტებს ქართველ პოლიციელს და მიმართავს შარლ მიშელს თხოვნით – ხვალ მოიწვიოს ევროსაბჭოს სხდომა თავისი კრიმინალური ქმედებების გასაპრავებლად, საქართველოს ერთი იმპერიის ხელში მიტოვებული მენშევიკების საქმის ბოლომდე მიყვანის და მისი ახალ კოლონიად გადაქცევის მიზნით.

„როცა იქაც კი „დაგაპაშოლეს“, აქ „ბლატაობას“ რა აზრი აქვს? გილოცავთ ახალ „ნიკნეიმს“ – „სალომე დაპაშოლებული“. რეკორდს მოხსნით მალე ქართულ ისტორიაში მეტსახელების რაოდენობით. მერე ისღა დაგვრჩება - საუკეთესოზე კონკურსი გამოვაცხადოთ და ოქტომბერში გამარჯვებული „კლიჩკით“ დაგიკანონოთ სანაგვეზე კუთვნილი ადგილი“...

დავით ქართველიშვილი

### ადამიანი იდიოტი უნდა იყოს, როცა ამბობს, რომ!..

„ადამიანი კლინიკური იდიოტი უნდა იყოს, შეშლილი ან თაღლითი, როცა ამბობს, რომ ამ კანონმა, შესაძლოა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება შეაფერხოს. გამორიცხულია ვინმემ მოლაპარაკება დაიწყოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრებაზე, სანამ ჩვენი ქვეყნის 20% რუსებისგან არის ოკუპირებული და ამ პრობლემების მოგვარება არ მოხდება. სანამ ესენი საქართველოდან არ გავლენ, ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, ჩვენ ევროკავშირში არავინ მიგვიღებს... უფრო მეტსაც გეტყვით, ვთქვათ, რაღაცა მოხდა და რუსული ჯარი გავიდა საქართველოს მიწიდან. ამ შემთხვევაშიც რას უშვრები საზღვრების დემილიტარიზაცია-დემარკაციის პრობლემას სომხეთთან, აზერბაიჯანთან. ასე უცბად მოგვარდება ეს პრობლემა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში არ მოგვარდა? ეს არის სრული ტყუილი და ფანტაზია. ევროპაში, არავინ კოშმარულ სიზმარშიც კი არ ფიქრობს ჩვენ გაწევრებას ამ სიტუაციაში, რაშიც ახლა ჩვენი ქვეყანა იმყოფება. რომელ გაწევრების მოლაპარაკებაზეა საუბარი, როცა თბილისიდან 30 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას და არავის სურს ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ევროკავშირში მიღება.

ამბობს პეტრე მამრაძე



### ნაელჩარის ღინბაზობა

ეხმაურება მოვლენებს ექსტრად,
გამოიკვეთა მისი გეგმანი –
ამჯერად ამერიკიდან გვნესტრავს
**კრაზანა** ანუ **კელა** დეგნანი!

ემზარ კვიტაიშვილი

## ნინო ფოჩხუა: ეს უკვე ღიად ლგბტ აქციაა, ეს არის საკუთარი მოქალაქეების დაცინვა და უპატივცემულობა

ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ისე როგორც სურს, ამაზე არ ვდავობთ. ბევრ ლგბტ ადამიანს ვიცნობ, რომლებსაც ვერც დაეტოლება ზოგიერთი ჰეტერო ადამიანი. ცხოვრობენ მშვიდად, შრომობენ და არასდროს არ გახვევენ თავს თავის პირად ცხოვრებას. მიყვარს ეს ადამიანები.ამ აქციის მონაწილეებმა თუ იციან, რომ ის ადამიანები, ვინც ვახსენე, გმობენ ასეთ ქცევას, რაც დღეს ხდება აქციაზე.

ეს არის მარაზმი, დაცინვა და უპატივცემულობა საკუთარი მოქალაქეების. აი ამას კრძალავს ახალი კანონი, პროპაგანდას და ჩვენი ქვეყნის მენტალობისთვის მიუღებელ ქცევას, თორემ ადამიანთა უფლებების დაცვა ახლა რომ არის ამ მმართველი გუნდის ხელში, არასდროს ყოფილა. თვითონ მომიტინგეები ამბობენ, (მე არ ვიცი, შეიძლება წამოცდენაა) რომ არც ცენზურა არსებობს და სრულ თავისუფლებაში არიან.

მინდა გაიხსენონ და დაიმახსოვრონ ამ აქციების ორგანიზატორებმა, არასდროს არც ადრე და არც ახლა ვინც იკადრა და დასცინა თავისი ქვეყნის საზოგადოებას, ვერასდროს მიუღწევია მიზნისთვის“, – წერს ექსპერტი **ნინო ფოჩხუა**.



## მეუფე იაკობი: რა გაგიკეთებია საქართველოსთვის ისეთი, რომ ილია ჭავჭავაძეს დევიზს უცვლი



**ბოდბელი ეპისკოპოსი** ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება. საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ, მღვდელმთავარმა გამჭვირვალობის კანონზე ისაუბრა, ასევე ყურადღება გაამახვილა საპროტესტო აქციებზე.

**მეუფე იაკობისთვის** მიუღებელია ილია ჭავჭავაძის სიტყვების დამახინჯება. ბოდბელი ეპისკოპოსი მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებლობაზე საუბრობს.

**„არა რუსეთსო რომ იძახი, კანონი თუ რუსეთია ამ რუსების გვერდით რა გინდა? „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და მის სატელიტებზე ვლაპარაკობ. აბა გადადეთ, რა გააკეთეს ქართული. საპროტესტო მუხტი რომ არ გაჩერდეს, სანამ შემდეგი რამე იქნება, მე ერთს ვიტყვი, რომ მშვიდობა და სიწყნარე მინდა ქვეყანაში. სიმშვიდე და სიწყნარე იმის ფასად, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა ქართველებს საუკეთესო გვქონდეს. ბევრს ეს არ უნდა და ხდება რა, მიდიან, მოგზაურობენ, ჩადიან გმირთა მოედანზე და ფიცს დებენ, რომ იბრძოლებენ საქართველოსთვის. ნახეთ რა ლოზუნგი შემოაქვთ „ენა, მამული და ერთობა“-ო, ფიცს დებენ. ერთობის მოწინააღმდეგე ვინ არის, მაგრამ რა გაგიკეთებია საქართველოსთვის, რა გაგიკეთებია, რომ ილია ჭავჭავაძეს დევიზს უცვლი“,** – აღნიშნა მეუფემ.

## ევროპის ლიბერალთა კონფერენცია თბილისში

**რას ემსახურება კონფერენცია, რომელიც ევროპის ლიბერალური ფონისძიების სახელით თბილისში მეორე დღეა იმართება – ამ შეკითხვაზე პასუხი ისევ არ არის. უცნობია დამფინანსებელთა ვინაობაც.**

**ცნობილია მხოლოდ ღონისძიების სპიკერები, რომელთა შორის არიან რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორის წევრები.**

**ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს მონაწილეები და ორგანიზატორები თავს არიდებენ. ღონისძიებაზე მხოლოდ მათთვის სასურველ მედიებს უშვებენ.**





⊙ ორმაგი სტანდარტი – ბითუმად

# ფუი, ასეთ კოლეგიალობას!..

**უკვე მეორე კვირა გადის მას შემდეგ, რაც სამართალდამცველთა ცოცხლად დაწვის მცდელობისთვის გასამართლებული „მოლოტოვის კოქტეილის“ ტრფიალის ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებისთვის პროტესტის ნიშნად თანამდებობა პრეზიდენტის ფოტორეპორტიორმა გიორგი აბდალაძემ დატოვა, მაგრამ, თვით სალომე ვეტოსდამდებზე და მის სულიერად მასაზრდოებელ ოპოზიციაზე რომ არაფერი ვთქვათ, აღნიშნულ უპრეცედენტო ფაქტზე სიტყვა ჯერაც არ დაუსველებიათ ათასი ჯურის უფლებადამცველებს, ყველაფერში ცხვირის ჩამყოფ დიპკორპუსს, სახალხო დამცველსა თუ, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ღირსეული პროფესიონალის კოლეგებსა და დესტრუქციულ არასამთავრობო სექტორს.**

ამ ფონზე განსაკუთრებით ნეგატიურად გამოიყურება ეგრეთ წოდებული ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა თუ რაღაც მსგავსის მხრიდან გაჭიანურებული სამარისებური სიჩუმე, რომელსაც, როგორც დაინტერესებულ მხარეს, ორმეტრიანი ენა აქვს ხოლმე გადმოგდებული ოპოზიციური მედიის წარმომადგენელთა მიმართ საზოგადოების მხრიდან ოდნავ აწეული ტონის შემთხვევაშიც კი. რასაკვირველია, თავისთავად ასეთი რეაქცია მოსაწონია და სასაყვედურო არაფერი გვაქვს მისი ავტორებისადმი, მაგრამ როცა მათ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული სხვაგვარად მოაზროვნე თავმოყვარეობაშელახული „ქვემდგომის“ მიერ გადადგმულ ვაჟკაცურ ნაბიჯზე, ეს უკვე ორმაგი სტანდარტის დაცვის კლასიკური მაგალითი გახლავთ.

როცა გიორგი აბდალაძეზე ვამახვილებთ ყურადღებას, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მის თავს დამტყდარი ნაციონალური კოშმარის ამაზრზენი ისტორია, აწ განსვენებულ ქურციკიძესა და ცოლ-ქმარ გედენიძეებთან ერთად სააკაშვილის ეპოქისდროინდელ ციხეში გატარებულ ჯოჯოხეთურ წლებში რომ გამოიხატა, ასეთი ანგარიშსწორების მიზეზად კი 2011 წლის 26 მაისის ბართლომეს ღამეს რუსთაველზე გამართული აქციის მონაწილეთა სისხლიანი დარბევის ამსახველი ფოტოების საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება იქცა.

ალბათ გემახსოვრებათ, რომ ზემოთ უკვე ნახსენები სამარცხვინო შეწყალებისადმი მიძღვნილი წერილის დასასრულს გამოვთქვით ვარაუდი, დასახელებული ლმობიერება მოძალადეთათვის მწვანე შუქის ანთების ტოლფასი იქნება უახლოეს მომავალში-თქო.

მართლაც, რამდენიმე დღეში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორია კიდევ ერთხელ გადაიქცა ფრონტის ხაზად, „რუსული კანონის“ მიღების მოწინააღმდეგეთა აგრესიის ობიექტები კი ამჯერად არამარტო წესრიგის დამცველები, არამედ „ტელეიმედისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტები გახდნენ. და როგორ გგონიათ, შეწუხდა ვინმე მორიგი ვანდალიზმით? მსგავსი არაფერი – რომ იტყვიან, რას ეძებ, რა დაგიკარგავსო, ისეა სამთავრობო არხების აშკარად გამოხატულ მოძულეთა საქმე.



თუ გავითვალისწინებთ, რომ სამიტინგოდ მშვენიერი ამინდები უკვე გამოვიდა და ელისაშვილმა პარლამენტის სხდომაზე უმრავლესობის ლიდერზე „ირმის ნახტომით“ თავდასხმაც მოასწრო, რისთვისაც საკადრისი ხურდაც დაუბრუნეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი გაფრენები კიდევ მრავლად გვექნება – მესამე განხილვამდე ხომ თითქმის ერთი თვეა დარჩენილი.

„რუსული კანონის“ ინიცირებიდან სისტემატურად კითხულობენ – რატომ შემოაბრუნეს პარლამენტშიო? გავრისკავ და ვივარაუდებ: ამით მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ ოპონენტებს ყურადღება მოუდუნა, ისრები სხვა მიმართულებით გადაატანინა და უპრობლემოდ მიიღო „ოფშორული კანონი“, რომლითაც, თუ მეამბოხეებს დავუჯერებთ, ოლიგარქი შესაძლო დასანქცირების შემთხვევაში მარტივად გადმოქაჩავს სამშობლოში „ნაძარცვ მილიარდებს“. რამდენჯერ უნდა გაცუცურაკდეთ, ნაცებო?

საგულისხმო ფაქტი მოხდა მოდაში შემოსულ ახალგაზრდულ საგაზაფხულო ღამის სეირნობაზე, რომლის ერთ-ერთმა მონაწილემაც „მთავარის“ ზონდერ-ჟურნალისტს ნინუცა კეკელიას პირდაპირ მიახალა პირში – როგორც პროპაგანდისტი, თქვენი არხი ნაგავიაო. მოდი და ნუ ირწმუნებ პირდაპირი ეთერის უპირატესობას, რომელიც ნათქვამის შელამაზებას გამორიცხავს.

**კუმ ფეხი გამოყო – მეც ნახირნახირო, ისეა ლგბტ საზოგადოების საქმე, რომელმაც გასულ უქმეებზე საერთო სურათით ისარგებლა და დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე ჩაიხრიგინა დამახინჯებული სლოგანით: „მამული, ენა, ერთობა“. როგორც იცით, წმინდა ილია მართლის ტრიადა ასე ჟღერდა: „მამული, ენა სარწმუნოება“, რომელიც მღელვარე 1978 წლის 14 აპრილს განვითარებული მოვლენების შესაბამისად „ენა, მამული, სარწმუნოებად“ შეიცვალა. რომ იტყვიან, ვაი თქვენს პატრონს, სარწმუნოების მგმობელნო!**

გია პლატონიშვილი

# ნამუსგარეცხილო მაცდუნებლებო! – თავი დაანებეთ ახალგაზრდების ცრუპოლიტიკურ განამანიაში ჩათრევას!

(პირველი გვერდიდან)

გასათვალიწინებელია ის ფაქტიც, რომ ბოლო ხანებში უკრაინის (და საქართველოს!) „მეგობარ“ ქვეყნებში უკვე ხმამაღლა ისმის უკმაყოფილება უკრაინისადმი უსასრულო და ყოველდღიურად მზარდი სამხედრო და ფინანსური დახმარებების გამო. გასაკვირი არაფერია – მართალია, ეს უცნაური ძმათამკვლელი ომი ამდიდრებს ჩვენი „მეგობარი“ ქვეყნების იარაღის მწარმოებელ მცირერიცხოვან კასტას, მაგრამ აღარიბებს და სასიკვდილო საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნების ასეულ მილიონობით მოქალაქეს, მათ შორის გავლენიან ჩინოვნიკ-მილიონერებსაც...

* * *

**გასულ კვირას უკიდურესად გამწვავდა ვითარება იმ წყეული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტთან დაკავშირებით.**

იმედია, საქართველოს ყველა დაინტერესებულმა მოქალაქემ იცის, მაგრამ თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ კანონპროექტი ქართული მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებითვის უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების (თუ ეს თანხა ორგანიზაციის ბიუჯეტის 20 პროცენტს აღემატება), მისი ხარჯვა-გადანაწილების, დამფინანსებლის ოფიციალურად გასაჯაროებას და მიმღები ორგანიზაციის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრას ითვალისწინებს. ანუ, ძალიან მოკლედ, კანონპროექტი არასამთავრობოებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გავრცელებას გულისხმობს.

აქვე, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ **გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში თურმე 25 000 (ოცდახუთ ათასზე!) მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია (ე. წ. ნჯო) ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, რამდენია დაფინანსების საერთო მოცულობა, ეს ჩემს ფანტაზიას აღემატება. სავარაუდოდ, ეს არის გრანდიოზული უკონტროლო თანხა, რომლის ხარჯვის ნამდვილი მიზანი უცნობია. ძირითადად, სწორედ ამის გარკვევას უნდა ემსახურებოდეს პარლამენტში განსახილველად შეტანილი კანონპროექტი.**

ამ 25 ათასი ენჯო-ს კეთილშობილურ საქმიანობაში ეჭვის შეტანას როგორ გავბედავ, მაგრამ საინტერესოა, მათი თანამშრომლები ფორმალურად დასაქმებულებად ითვლებიან, თუ უმუშევრებად?

მიკერძოება რომ არ დამბრალდეს, აქვე ვიტყვი, რომ ზოგადად, თანხების ხარჯვას აკონტროლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“. „გამჭვირვალობის“ მოწინააღმდეგე საპარლამენტო ოპოზიციაც სწორედ ამაზე აპელირებს - რა აუცილებელია ახალი, როცა უკვე გვაქვს სხვა მოქმედი კანონმდებლობა. თუმცა, თუ ყურადღებით გავეცნობით, მოქმედი კანონმდებლობა ნჯო-ების შესაძლო ფინანსური მანიპულაციების სრულად გაკონტროლების საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად, ახალი კანონის მიღების აუცილებლობაც აქედან უნდა მომდინარეობდეს.

**ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობა ამაზე მხოლოდ შორეული მინიშნებებით თუ ლაპარაკობს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია უტყუარი ინფორმაცია საქართველოში საიდუმლოდ შემოდინებული თანხების ოდენობასა და მიზნებზე. საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ჩვენი ზოგიერთი „მეგობრის“ მიზანი საქართველოს ხელისუფლებაზე, მთლიანად საქართველოზე უპირობო გავლენის მოპოვებაა. ეს სურვილი მას შემდეგ გამძაფრდა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის პრეტენზია გაამჟღავნა.**

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა. სამაგალითოდ, ვნახოთ ფრაგმენტი საფრანგეთის სენატის ვებგვერდზე გამოქვეყნებული საფრანგეთის დაზვერვის ანგარიშიდან:

„საგარეო ჩარევა სულ უფრო დაუბრკოლებლად ხდება და ეხება საქმიანობის ყველა სექტორს, დემოკრატიული ცხოვრებიდან ეკონომიკურ ცხოვრებამდე, კვლევის სამყაროდან ციფრულ სივრცეებამდე. ეს არის დეზინფორმაციული ოპერაციები, კიბერშეტევები, ჯაშუშობა, ექსტერიტორიალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შესაძლებლობები, კორუფცია, ღალატი და ა.შ. რუსეთისა და ჩინეთის გარდა, სხვა უცხოური ძალებიც მიმართავენ ჩარევას, მაგალითად, თურქეთი რელიგიური პრაქტიკის ბერკეტით, ასევე ირანი, მაღრიბის სხვა სახელმწიფოები და სპარსეთის ყურის ქვეყნები...

ჯაშუშობა ასევე ეხება ეკონომიკურ სფეროს და აქ ჩვენი მოკავშირეები ჩვენი მეგობრები არ არიან. სუვერენიტეტის ცნებას ყველა სხვა მოსაზრებაზე უპირატესობა უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, კანონის ექსტერიტორიალობით, სხვადასხვა ოპერატიული მეთოდი გამოიყენება შესაბამისი ინფორმაციის მოსაპოვებლად და ჩვენი ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ძირის გამოსათხრელად“.

საფრანგეთის სენატის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დაზვერვის საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობის ანგარიშში მიმოხილულია საფრანგეთის შიდა საქმეებში უცხოური ჩარევის რისკები და მათი აცილების გზები. აღნიშნული დოკუმენტი გამოყენებულია საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატების მიერ მხარდაჭერილი ინიციატივის გასამყარებლად, რომელიც გარე ჩარევის წინააღმდეგ არის მიმართული **(ინფორმაცია აღებულია ბ-6 ლევან ახალაიას კვლევიდან).**




**„შევიდეთ ევროპაში ავტობანით“**

**გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – ქართული საპარლამენტო არჩევნების კანონიერება, თურმე – ამერიკელ დამკვირვებელზე, ხოლო საქართველოს ევროინტეგრაცია ამერიკის სენატზე ყოფილა დამოკიდებული. არადა, მეგობრობა სხვა რამე მეგონა.**



**იმის თქმა მინდოდა, რომ ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში მოქმედი, საფრანგეთის, გერმანიის და ევროკავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად შეტანილი კანონის „რუსულად“ გამოცხადება არის სრული ნონსენსი; უვიცების, იოლად ფული შოვნის სურვილით შეპყრობილი ვიგინდარების, უსაქმურებისა და გულუბრყვილო ახალგაზრდების, მათ შორის, არასრულწლოვნების ქუჩაში გამოტყუების დანაშაულებრივი მცდელობა. კიდევ უფრო ამაზრზენია მავნებელი პოლიტიკოსების მოწოდებები საკანონმდებლო შენობაში შეჭრისა და სახელმწიფო გადატრიალებისაკენ. ამით ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის სასიკვდილოდ იმეტებენ უბირ ახალგაზრდობას.**

მთელი გასული კვირის განმავლობაში ისტერიული **„რუსულია, რუსულიას“** ფონზე ვერც ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ვერც ერთმა მისმა მხარდამჭერმა მომიტინგემ ვერ შეძლო მიახლოებით მაინც აეხსნა, რატომ არის გამჭვირვალობის შესახებ კანონი რუსული. ესეც არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ამ „ანტირუსებს“ არა სამშობლოს ბედ-იღბალი, არამედ საქართველოზე სრული უცხოური გავლენის დამყარება და ბინძური ფულით საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფა ამოძრავებთ.

ამ ფონზე სულაც არ არის გასაკვირი პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადება, თუ პარლამენტი კანონს მიიღებს, აუცილებლად ვეტოს დავადებო. ეს ქალბატონი უკვე დიდი ხანია აღარ მალავს, რომ... თუმცა რას ვამბობ, ეს ქალი უკვე დიდი ხანია აღარაფერს არ მალავს.

თავის განზრახვას არ მალავს ჩვენი ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი მეგობარიც. სამაგალითოდ ჩვენთვის კარგად ცნობილი კელი დეგნანისა და ამერიკის სენატის ვიცე სპიკერის მეთიუ მილერის სიტყვებიც საკმარისია: „საქართველომ უკან უნდა გაიწვიოს რუსული კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკა (ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე) არ გამოგზავნის თავის დამკვირვებლებს და არჩევნები უკანონოდ გამოცხადდება“; „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიწვიოს რუსული კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელი შეეშლება საქართველოს ევროინტეგრაციას“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – ქართული საპარლამენტო არჩევნების კანონიერება, თურმე – ამერიკელ დამკვირვებელზე, ხოლო საქართველოს ევროინტეგრაცია ამერიკის სენატზე ყოფილა დამოკიდებული. არადა, მეგობრობა სხვა რამე მეგონა.

**ამ ფონზე გაცილებით გამომწვევად გამოიყურება ამერიკის დიდი მეგობრის, მიშა სააკაშვილის სიტყვები გასულ კვირას გამართულ სასამართლო სხდომაზე, სადაც 2007 წელს მოწყობილ სასტიკ დარბევებში მისი მონაწილეობა განიხილებოდა: „გავიდეთ ავტობანზე და ევროპაში შევიდეთ ავტობანით. გავერთიანდეთ. ამას გეუბნებით მე, მიშა სააკაშვილი, ვისაც არასოდეს არავის შეშინებია და თავი გასწირა საქართველოსთვის. ოთხ წელიწადში ვიქნებით ევროკავშირის წევრი... შორეული 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევა ეს იყო რუსეთის მოწყობილი... ვეკითხები ბატონ პროკურორებს, რა შუაში ვარ მე „იმედის“ დარბევის ამბავში? უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური განცხადებები... ხაზარაძე და ვაშაძე შესანიშნავად მუშაობენ. ჩემი წარმომადგენელი უნდა იყოს სოფო ნიჟარაძე. მე მომხრე ვარ ტექნოკრატიული მთავრობის. გვერდზე გადავდოთ ყველანაირი უთანხმოება, ყველანაირი წყენა, გავერთიანდეთ და დავამხოთ ეს ხელისუფლება.“**

* * *

**გასულ კვირას პარლამენტმა ოპოზიციის მუშტების ბრახუნისა და წივილ-კივილის ფონზე დაჩქარებული წესით დაამტკიცა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. პრემიერის მიერ დაანონსებული საგადასახადო ამნისტიის გარდა, იგი ოფშორულ ზონაში უკვე დარეგისტრირებული აქტივების საქართველოში შემოტანის პირობებსაც ეხება.**

კანონპროექტის მიხედვით, ოფშორული კომპანიების მიერ აქტივების საქართველოში გადმოტანის შემთხვევაში, შესაბამისი ოპერაციები გათავისუფლდება მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადებისგან. ასევე, ამ ოპერაციის ფარგლებში, აქტივის, საქონლის საქართველოში შემოტანა და იმპორტი გათავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისგან. საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის აუცილებელი პირობაა, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილისა და აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი ფლობდეს. საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით ქონების გადასახადისგან, 2030 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდება.

ოპოზიციის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ“ დაგეგმილი ცვლილებები ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს მოარგო. მმართველი გუნდის განმარტებით, ცვლილებების მიზანი საქართველოში ინვესტიციების კიდევ უფრო გაზრდაა.

ნებით თუ უნებლიეთ, გასულ კვირას ქართული ოპოზიციის ნამდვილი სახე თავისი სამარცხვინო, ლაჩრული საქციელით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა პარლამენტარმა ალეკო ელისაშვილმა – მოულოდნელად მიპარვით თავს დაესხა ტრიბუნაზე მდგომ მამუკა მდინარაძეს და თავში მუშტი ჩაარტყა. მერე, პარლამენტიდან გაძევებული მომიტინგეებს შეუერთდა, ერთ ხანს თავისი „ნავაჟკაცარით“ იტრაბახა და ბოლოს პოლიციასაც დაუპირისპირდა. ტელეეკრანებიდან დასიებული ცხვირ-პირითაც გვეკეკლუცა. იმედია, არანაკლებ გმირი ვაშაძე, გვარამია, გირჩი-ჯაფარიძე, ნინო ლომჯარია და ბაია პატარაია ალეკოს სათანადოდ დაუფასებენ ამ გმირულ საქციელს.

**გასული კვირის ყველაზე გულდასაწყვეტი და, არ ვაჭარბებ, ქართული საზოგადოებისთვის, ქართველობისთვის ძალიან საშიში მოვლენა ახალგაზრდების ცრუ-პატრიოტულ, ცრუ-პოლიტიკურ განამანიაში ჩათრევის მცდელობა იყო. დაუჯერებელია, შეუძლებელია, ახალგაზრდობა არარსებული „რუსული კანონპროექტის“ გასაპროტესტებლად ქუჩაში სპონტანურად გამოსულიყო. იგი მოატყუეს, წინასწარ შეამზადეს და ქუჩაში საკუთარი ბნელი ზრახვების „გასათეთრებლად“ გამოიყვანეს. ძნელია, ძალიან ძნელია ახალგაზრდის ყურება, რომელმაც არ იცის, რისთვის იბრძვის, არა აქვს პასუხი კითხვაზე, რატომ არის რუსული (თუნდაც ფრანგული, გერმანული ან სომხური) კანონპროექტი, რომელიც არ წაუკითხავს; ახალგაზრდისა, ტაშით რომ ხვდება ან უკვე ოპოზიციის ლიდერად აღზევებულ ნიკა გვარამიას და წარმოდგენა არა აქვს მის გუშინდელ „მოღვაწეობაზე“.**



**თეიმურაზ ქორიძე**

22. 04. 2024

**ერთი პატარა და ძალიან ცნობილი განმარტება ფეხის ხმას აყოლილი ახალგაზრდებისა და მათი ნამუსგარეცხილი მაცდუნებლების გასაგონად: ხალხი არის საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ხნავს, თესავს, ქმნის, აზრს გამოთქვამს, მოყვარეს მოყვრულად და მტერს მტრულად უხვდება. საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ქუჩაში გამორბის, მუშტებს იქნევს, მტერ-მოყვარეს დედას აგინებს და ქვებს ისვრის, არის ბრბო. მოდი, ნუ ვიქნებით ბრბო, ვიყოთ ხალხი, ერთმანეთის მოყვარე და ხელის ჩამკიდე.**



**თემურ მაისურაძე:**

## ხვალ რომ მტრები და მოყვრები ყირაზე დადგნენ, მერე სად მიდიხართ?!

# ამ უდღეურების მოსატყუებელი კბილი კარგა ხანია, გამოიცვალა ხალხმა



**პარლამენტმა განსახილველად „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" „ქართული ოცნების" მიერ ინიცირებული კანონპროექტი აირჩია, შესაბამისად, პოლიტიკური ჯგუფის „საქართველოსთვის" მიერ შემუშავებული ორი ალტერნატიული პროექტი ჩააგდო. ხმის მიცემის პროცედურა ერთიანი კენჭისყრით ჩატარდა.**

**„უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის საფუძვლად მიღებისა და ალტერნატიული პროექტების უარყოფის შესახებ პარლამენტის დადგენილებას მხარი 78-მა დეპუტატმა დაუჭირა, მის წინააღმდეგ ხმა კი 25-მა მისცა.**

როგორც „საქართველოსთვის" წევრი, დეპუტატი **ბექა ლილუაშვილი** აცხადებს, ხელისუფლება იღებს კანონს, რომლითაც ისტორიულ მტრებსა და მოკავშირე მეგობრებს შორის ტოლობის ნიშანს სვამს. მისი თქმით, უმრავლესობის კანონპროექტის რეალური მიზანი ევროპის მტრად გამოცხადება, ხალხის დაყოფა და დაპირისპირებაა. როგორც დეპუტატი აცხადებს, ხელისუფლების რეალური მოტივი გამჭვირვალობის კუთხით დამატებით ზომების მიღება რომ იყოს, მათ ალტერნატიულ საკანონმდებლო ინიციატივას დაუჭერდა მხარს.

* * *

**მაშინ, როდესაც ევროპული დემოკრატია მთლიანად აგებულია გამჭვირვალობისა და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებზე და ევროპულ ქვეყნებში მოქმედებს საკმაოდ მკაცრი კანონი გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც რიგ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, საქართველოს შემთხვევაში, კანონი, რომელიც ა-ო ავალდებულებს წელიწადში ერთხელ დეკლარაციის შევსებას, იგივე ევროპელი პოლიტიკოსების თუ დიპლომატების განცხადებით, ქვეყნის ევროპულ არჩევანს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.**

მაგალითად, ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი** თავს უფლებას აძლევს და აცხადებს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი ემსახურება მხოლოდ ოლიგარქს და მის მწვრთნელებს კრემლში. ამბობს, რომ „რუსული კანონი" საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს და ევროკავშირის კანდიდატობას. ეს, მაშინ, როდესაც ე.წ. „რუსული კანონის" განხილვა მიმდინარეობს ევროპარლამენტში.

გასულ კვირას, „გამჭვირვალობის შესახებ კანონი" და ამ შემთხვევაში, საკმაოდ მკაცრი, მიიღო საფრანგეთმა, მაგრამ საფრანგეთის ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ საქართველო არის სუვერენული ქვეყანა, შეუძლია, მიიღოს კანონი, რომელიც სურს, მაგრამ ის კანონპროექტი, რომელიც განიხილება პარლამენტში, **შერაზ გასრის** ინფორმაციით, არ შეესაბამება ევროკავშირის ღირებულებებს.

**„ჩვენ და ასევე საქართველოს სხვა მეგობრები, რომლებსაც სურთ ევროკავშირში მისი გაწევრება, ვეუბნებით საქართველოს, რომ ის კანონპროექტი, რომელიც განიხილება პარლამენტში, არ შეესაბამება ევროკავშირის ღირებულებებს. ასე რომ, გადაწყვეტილება საქართველოს მისაღებია. როგორც აღვნიშნე, კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და ქართველმა ხალხმა უნდა განიხილოს, ჩვენ არ ვართ ის, ვინც კანონების შესახებ მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს"**, – განაცხადა ელჩმა.

„ქართული ოცნების" დეპუატატის **დავით მათიკაშვილის** განცხადებით, „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია" არ არის განმარტება, ეს არის ფაქტი – ვინც იხდის ფულს, ის უკვეთავს მუსიკას. დავით მათიკაშვილის თქმით, უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების გარკვეულ ნაწილს საქართველოში, კარგ საქმეებთან ერთად, ექსტრემიზმი და ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიაც აქვთ დაფინანსებული.

**საქართველოში, სწორედ, უცხო ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს, ერთი მხრივ აქვთ უამრავი კარგი და კეთილი საქმე გაკეთებული, სამართლებრივი რეფორმიდან დაწყებული, აგრარული რეფორმისა და სოფლის მეურნეობით დასრულებული. ამავდროულად, იმავე სახის ორგანიზაციებს აქვთ ექსტრემიზმი დაფინანსებული, ეკლესიის წინააღმდეგ მთელი რიგი ღონისძიებები აქვთ დაფინანსებული და ასევე „მოლოტოვის კოქტეილების სროლა"**, – განაცხადა **დავით მათიკაშვილმა**.

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი **თინა ბოკუჩავა** ცდილობს ამტკიცოს, რომ „რუსული კანონი" საამიზნედ იღებს საერთაშორისო პარტნიორების ფინანსურ დახმარებას, რომელიც ხმარდება ეკლესიების კონსერვაციას, სკოლების რეაბილიტაციას, გზების მშენებლობას, 260 ათას საქართველოს მოქალაქეს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ. მისივე თქმით, ივანიშვილის პარტია ცდილობს ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი წაართვას!..

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ** აღნიშნა, რომ რელიგიური ექსტრემიზმი, საქართველოში ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა, ეს საქართველოში არა მხოლოდ აღიქმება, არამედ არის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები, რაც ხშირ შემთხვევაში ფინანსდება.

**„გამჭვირვალობის მიზანი ერთგვარი თვითმიზანი არ არის. საუბარია იმაზე, რომ გარდა კარგი საქმეებისა, რასაც ენჯეო სექტორი აკეთებს, მათ დააზღვიონ და სხვა საკითხების პრევენცია მოახდინონ. საქართველოში ასეთი საკითხების პრევენცია შეიძლება შეეხებოდეს, მაგალითად, პოლარიზაციას, რადიკალიზაციას, რელიგიური ექსტრემიზმის, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას, არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას, პარტიების რადიკალურ-რევოლუციური მიზნების დაფინანსებას. ეს არის ის თანმდევი რისკები, რაც ახლავს ნებისმიერი ქვეყნიდან სამომავლო პერსპექტივაში შემოსული გრანტების დაფინანსებას.**

**ავიღოთ, პირობითად, 60-70% თუ ხმარდება კარგ საქმეს, შესაბამისად, დანარჩენი 30% ხმარდება, სავარაუდოდ, ისეთ საქმეებს, რომლებიც მიმართულია არალეგიტიმური მიზნებისკენ და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისკენ. ბევრჯერ მოგვისმენია, გვინახავს, მაგალითად, „ფრანკლინის კლუბი", „კანვასი", ISFED-ის გაყალბებული, პარალელური დათვლის მონაცემები, ისინი ყველა დაფინანსებული გახლდნენ გარე აქტორების მიერ"**, – აღნიშნა **მამუკა მდინარაძემ**.

პროფესორი **თემურ მაისურაძე** ამბობს, რომ დაინტერესებულმა საქართველოს ყველა მოქალაქემ, საკუთარი თვალით იხილა თუ როგორ ათრია მამუკა მდინარაძემ „შავ ფულზე" გაყიდული „ბარიგები", ანუ, მისი თქმით, „მართლაც რომ აგენტურა".

როგორც მაისურაძე აცხადებს, არ შეიძლება სხვა სიტყვა უწოდო არასახელმწიფოებრივად მომართულ პირებს, რომლებიც გალიაში მომწყვდეული ცოფიანი ქუჩის ძაღლებივით რომ წკავწკავებდნენ.

**„დიდი იმედი მაქვს, რომ თუ ეს სუბიექტები, მოინდომებენ არაკონსტიტუციური მოქმედებების აგორებას, საკადრის პასუხს მიიღებენ უკვე ჩვენგან, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობისგან! თუ საქართველოს კანონის წინაშე, ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომ აღარაფერი ვთქვათ საჯარო იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, ანგარიშვალდებული ვართ სახელმწიფოს შესაბამის ინსტიტუტებთან, გამაგებინეთ, ვინ მიგდია ეს არასამთავრობო ორგანიზაციები?!**

**მათი ლოგიკით, თითქოსდა ეს კანონი სხვა ქვეყნებში მხოლოდ მტრულ ქვეყნებს ეხებათო, ერთი ამიხსნან დასავლეთიდან მიღებული ეს საპროტესტო წერილები ბაიდენის ადმინისტრაციისაა თუ საპირისპირო ფრთის, ანუ ტრამპისტთა ფრთის გახმოვანებული ნოტებია? ხვალ რომ მტრები და მოყვრები ყირაზე დადგნენ, მერე სად მიდიხარ?! აგერ, გუშინდელი მეგობრული უკრაინა – დღეს უკვე ემუქრება საქართველოს და კინწისკვრით გამოგვიძევეს ელჩი.**

**დღევანდელი ევროპული გლობალისტური მმართველობა, თვითონ ვეღარ უძლებს რადიკალურად განწყობილ საკუთარ კონსერვატიულ პოლიტიკურ პარტიებს თუ საზოგადოებას. მაგალითად, ლიბერალური რუსეთის აგენტი (კონსერვატული რუსეთის მტერი) ხოშტარია, დღეს უკვე ლონდონის საბანკო მომსახურეობის გავლით, ფუნტ სტერლინგებში ღებულობს დაფინანსებას და თან იმ ავადსახსენებელი SWIFT-ის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც ყველას ასანქცირებენ, ვინც სურთ. ამათი ჭკუით, ამ აჯაფსანდალივით აღრეულ დასავლეთს უნდა ვენდოთ?!**

**შეხედეთ კბილებით როგორ იცავენ უკანონო შემოსავლების წყაროებს. დასავლეთის მმართველობით სტრუქტურებში ჩაბუდებულმა და მათმა მხარდამჭერმა გლობალისტურმა ფრთამ კარგად ნახა ლაივში, რომ ამ უდღეურების მოსატყუებელი კბილი საქართველოს კარგა ხანია მოცვლილი აქვს. სუვერენული საქართველოს მიმართულებას ალტერნატივა არ გააჩნია"**, – აღნიშნა **თემურ მაისურაძემ**.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**





# „ენჯეოების რევოლუცია“ არ უნდა დავუშვათ!!!

**პარლამენტში „რუსული კანონის“ განხილვის დაწყებამდე მის მოწინააღმდეგეებს ფეისბუქით ვთხოვე, პროტესტი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში გამოეხატათ და პოლიციელების გარდა, პარლამენტის შენობასაც გაფთხილებოდნენ (გასულ წელს 50-მდე მინა ჩაიმსხვრა). მადლობა, რომ „მოლოტოვის კოქტეილი“ ადარავის გამოუყენებია, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამჯერად უკვე პარლამენტის წევრები დაერეოდნენ ერთმანეთს.**

**ამ სამარცხვინო ინციდენტის შემდეგ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულმა მოვლენებმაც გადამაწყვეტინა, უკვე არაერთგზის „გამარჯვებული ხალხისთვის“ მედიითაც მიმემართა. მით უმეტეს, პარლამენტის წინ ფაქტობრივად მორიგი „რევოლუციური მოწოდებებიც“ გაისმა, ხოლო „რეიტინგულმა“ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ე. წ. ოპოზიციურმა ტელევიზიებმა მორიგი „რეჟიმის“ „მშვიდობიანად შესაცვლელად“, „თავისუფალი მოქალაქეების“ ამჯერად უკვე „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საბრძოლველად „მობილიზაცია“ დაიწყეს.**

ფაქტია, როდესაც „არასამთავრობოებისა“ და „რეიტინგული“ (პარტიული) ტელევიზიების წარმომადგენლები ხალხს „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მორიგი შეკრებისკენ მოუწოდებენ, თან კითხულობენ, რა გავლენა უნდა მოახდინონ ჩვენზე უცხოელებმა ან ფულადი დახმარების გაწევისას სხვა რა ინტერესები უნდა ამოძრავებდეთ ქველმოქმედების გარდაო?

არადა, დღევანდელი ხელისუფლების მესვეურებიც და ოპოზიციის ლიდერებიც უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული „არასამთავრობო ორგანიზაციებიდან“ მოდიან და იმავე „სპონსორებზე“ დამოკიდებულმა ტელევიზიებმა შეუწყვეს ხელი პარლამენტის წევრად არჩევაში.

**დაითვალა ვინმემ, თუნდაც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ რამდენი ყოფილი ხელმძღვანელი ან წევრია გაპოლიტიკოსებული? ან სად არიან დასაქმებული ჯორჯ სოროსის მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტში „დატრენინგებული“ ახალგაზრდები (როგორც ვიცი, 300-ზე მეტია ბუდაპეშტში ნამყოფი...).**

**სწორედ ეს არის „უცხოელი მეგობრების“ უმრავლესობის ძირითადი მიზანი: სიკეთის კეთებით (რიგითი მოქალაქეების უფლებების დაცვით) პოპულარულები უნდა გახადონ არასამთავრობო ორგანიზაციები და მათთვის სასურველი მოქალაქეებით დააკომპლექტონ ხელისუფლების შტოები (საკანონმდებლოც, აღმასრულებელიც და სასამართლოც), რომ სახელმწიფოში საკუთარი ინტერესების გატარება შეძლონ.**

ამდენად, პრობლემა „რუსულ კანონში“ კი არა, პარლამენტისადმი უნდობლობაშია...

ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული ჩვენი „სამართლებრივი სახელმწიფოს“ საკანონმდებლო ორგანოს წევრები ევროსტანდარტების შესაბამისად ჩატარებული სამართლიანი არჩევნებით რომ იყონ თანამდებობებზე გამწესებულები, თავად გადაწყვეტდნენ ცალკეული სამართლის ნორმა ან მთლიანად კანონი (სამართლებრივი რეგულაციები) აშშ-დან გადმოიღონ, ესპანეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან თუ ნიგერიიდან.

სწორედ პარლამენტში გამართული სჯა-ბაასის შედეგად უნდა მიიღონ ხალხის წარმომადგენლებმა ქვეყნის ინტერესების შესაბამისი და გონივრული გადაწყვეტილება.

გამოდის, მორიგი „რევოლუციისთვის“ მხოლოდ იმიტომ ვემზადებით, რომ „ვიღაც მესამე“ ქვეყანაში დარჩენილი ქართველების ერთმანეთთან დაპირისპირებით („პოლარიზაციით“) არის დაინტერებული ან ხალხი თავისივე არჩეულ პოლიტიკოსებს არ ენდობა?! მერე, ვისი ბრალია?!

გაუსაჩივრებიათ კი „არასამთავრობოებს“ ან „სამოქალაქო აქტივისტებს“ ადრე ჩატარებული არჩევნები ასევე მასტაბურად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხოელ დამფინანსებლებს (მაგ, იმავე რუსეთიდან ან აშშ-დან) სააკაშვილის და მისი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოყვანა ჰქონდათ განზრახული?

დარწმუნებული ვარ, პარლამენტთან გამართულ აქციებში მონაწილეთა მნიშვნელოვან ნაწილს (განსაკუთრებით, ახალგაზრდებს და „შემოქმედებით ინტელიგენციას“...) „რუსული კანონი“ (კანონპროექტი „უცხოური გავლენის (დაფინანსების) გამჭვირვალობის შესახებ“) წაკითხული არ ექნება, თუმცა, მზად იქნება „რუსული კანონი“ აქტიურად გააპროტესტოს, ვინაიდან ინფორმაციას, ძირითადად, უცხოეთიდანავე დაფინანსებული ტელევიზიებიდან იღებს და, თვლის, რომ მის „გაევროპელობაში“ მხოლოდ „ქართული ოცნების“ მიერ მეორედ დაინიცირებული კანონპროექტი უშლის ხელს ...

## „რუსული კანონის“ მიღების მოწინააღმდეგეების საყურადღებოდ!




**როგორც ჩანს, მორიგი „რევოლუციისთვის“ ვემზადებით... არადა, დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც ისევ უცხოელი „ვიღაც მესამის“ ინტერესებში ვართ „პროევროპელებად“ და „პრორუსებად“ დაყოფილები, მანამდე ჯერ „მოქკავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“, შემდეგ კი „მიშას“ და „ბიძინას“ მომხრეებად ვიყავით „პოლარიზებულები“. კიდევ უფრო ადრე კი მოქალაქეების ერთი ნაწილი „გამსახურდიას და ეროვნულ მოძრაობას“ იცავდა იარაღით, მეორემ კი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება „დემოკრატიული აჯანყებით“ დაამხო და სოროსის („ძირითადი სპონსორის“) ვიზიტის მეორე დღესვე სკკპ ცკ-ის ყოფილ მდივანს გადააბარა ქვეყნის მართვის სადავეები...**

**მეც ვთვლი, რომ „რუსული კანონის“ მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენს (მიზნის მიღწევა სხვა საშუალებებითაც შეიძლება) და დროც არაგონივრულად არის შერჩეული, მაგრამ მაინტერესებს, როდესაც 1997 წლის 25 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, რუსი პროფესორის, იგორ პეტრუხინის მიერ მომზადებული (ნამდვილად რუსული და პოლიცია-პროკურატურის ინტერესებზე აშკარად მორგებული...) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო („რევოლუციური“) კოდექსი მიიღო პარლამენტმა (ბიუჯეტიდან 16 ათასი დოლარი გადავუხადეთ...) 25-მა „ელიტურმა“ არასამთავრობო ორგანიზაციამ მისი ინიციატორი (სააკაშვილი) „წლის ადამიანად“ რატომ აღიარა?! ან „რეიტინგულმა“ ტელევიზიებმა მაშინ რატომ არ გამოიყვანეს ხალხი ქუჩაში?!**

მოქალაქეებს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის რამდენიმე დღეში დაკანონებაც კი არ გაუპროტესტებიათ (არადა, ბიბლიაში წერია, მიწა არ უნდა გაიყიდოსო...), რაც მსოფლიო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის აშკარა დაკვეთით განხორციელდა, ხოლო უცხოეთიდან დაფინანსებულმა „არასამთავროებოებმა“ და მედიასაშუალებებმა ქართველ მეცნიერებსა და საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს განსხვავებული აზრის გამოთქმის საშუალებაც კი არ მისცეს („დაბლოკეს“).

**უცხოეთიდან დაფინანსებულმა „არასამთავრობოებმა“ და მედიასაშუალებებმა სრულიად გაუაზრებელ „სასამართლო რეფორმასაც“ დაუჭირეს მხარი და არაგონივრული კანონების გაპროტესტების ნაცვლად, საზოგადოებას მსოფლიო ბანკის ექსპერტების დასკვნებს აცნობდნენ ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებული „რეფორმების ახალგაზრდა მამის (სააკაშვილის) მოღვაწეობის ფანტასტიკური შედეგების თაობაზე“. ქართველ პროფესორებს კი „რეტროგრადებად“ და „კორუმპირებულებად“ მოიხსენიებდნენ და განსხვავებული აზრის საჯაროდ გამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ (მათ შორის, არც „საზოგადოებრივი მაუწყებლით“, რომლის სამეურვეო საბჭოს წევრებსაც, ფაქტობრივად, არასამთავრობო ორგანიზაციების მესვეურები ირჩევენ).**

უცხოეთიდან დაკვეთით სააკაშვილმა სახელმწიფო სიმბოლოდ „პარტიული დროშა“ (ფაქტობრივად, კათოლიკური სამყაროს მაინტეგრირებელი სიმბოლო) რომ აშკარა კანონდარღვევით დაგვიდგინა, სახელმწიფო გერბზე წმინდანის გამოსახულებას მიმართულება შეუცვალა და სახელმწიფო ჰიმნიდან „საქართველო“ ამოიღო, გააპროტესტა „სამოქალაქო სექტორმა“?!

„პროევროპელმა“ პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ფაქტობრივად, „მოსამართლეთა კლანის“ წარმომადგენელი რომ დანიშნა, „არასამთავრობოებმა“ ვერ შენიშნეს, თუ ამ მიმართულებით დაფინანსება არ იყო გამოყოფილი?!

**როგორც ჩანს, მორიგი „რევოლუციისთვის“ ვემზადებით... არადა, დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც ისევ უცხოელი „ვიღაც მესამის“ ინტერესებში ვართ „პროევროპელებად“ და „პრორუსებად“ დაყოფილები, მანამდე ჯერ „მოქკავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“, შემდეგ კი „მიშას“ და „ბიძინას“ მომხრეებად ვიყავით „პოლარიზებულები“. კიდევ უფრო ადრე კი მოქალაქეების ერთი ნაწილი „გამსახურდიას და ეროვნულ მოძრაობას“ იცავდა იარაღით, მეორემ კი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება „დემოკრატიული აჯანყებით“ დაამხო და სოროსის („ძირითადი სპონსორის“) ვიზიტის მეორე დღესვე სკკპ ცკ-ის ყოფილ მდივანს გადააბარა ქვეყნის მართვის სადავეები... 2003 წლის 22 ნოემბერს „შევარდნაძის რეჟიმის“ დამხობის შედეგად კი, კონსტიტუციით განსაზღვრული „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების“ ნაცვლად, ფაქტობრივად, „რევოლუციით“ (ლენინის აზრით „კანონით შეუზღუდავი ძალით“...) ფორმირებული პლუტოკრატიული ტირანია თუ „ენჯეოკრატია“ მივიღეთ.**

ვინაიდან დამოუკიდებლობის აღდგენიდან და ევროინტეგრაციაზე ორიენტაციის აღებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც სახელმწიფოში იმ დონის სამართლებრივი ნიჰილიზმია გამეფებული, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, თუ რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო, დამუკიდებელი სასამართლო ან სამართლიანი არჩევნები, ვერ ერკვევა ადამიანის ძირითადი უფლებების არსში, არ არის ინფორმირებული საკანონმდებლო ორგანოს ძირითადი ფუნქციების, აგრეთვე პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის ან მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმების თაობაზე (სახელმწიფო დროშის შინაარსსაც კი ვერ განმარტავს ერთმნიშვნელოვნად), ცხადი უნდა იყოს, რომ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია (პირველ რიგში, ტელევიზიები) ძირითად დანიშნულებას ვერ ასრულებენ.

სამაგიეროდ, უცხოეთიდან დაფინანსებული ქართველები მზად არიან „ვიღაც მესამის“ ინტერესებში „გამარჯვებული ხალხი“ ქუჩაში გამოიყვანონ და, ფაქტობრივად, ნებისმიერ საკითხზე დაუპირისპირონ თანამემამულეები ერთმანეთს. არადა, ამერიკელ ილონ მასკს ბერძნების გადაშენება აწუხებს, ხოლო საქართველოში შობადობა 100 000-დან (1988 წელს) 40-ათასამდეა დასული (2023 წელს), სოფლები დაცარიელებულია და სახელმწიფოს უპირველესი სიმბოლოც კი „იმპორტირებული“ გვაქვს! ჩვენი „სამოქალაქო აქტივისტები“ კი, უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის თაობაზე მომზადებული კანონპროექტის გასაპროტესტებლად აცხადებენ „საყოველთაო მობილიზაციას“, რისთვისაც მას „რუსულ კანონად“ მოიხსენიებენ...

**იმედი მაქვს, ჩვენი „არასამთავრობო ორგანიზაციებიც“ და მედიასაშუალებებიც გაიაზრებენ, რომ მორიგმა „რევოლუციამ“ მათ სიცოცხლესაც შეიძლება შეუქმნას რეალური საფრთხე (ნატყვიარები დღესაც შეიმჩნევა პარლამენტის შენობის ფასადზე) და რეალურად დაეხმარებიან ხალხს („ხელისუფლების წყაროს“) „აღადგინოს სამართლიანობა“ და კანონმდებლის უფლებამოსილება 4 წლით მიანდოს სამართლიანი პროცედურით არჩეულ, საზოგადოების ყველაზე ღირსეულ, პიროვნული და პროფესიული თვისებებით გამორჩეულ წარმომადგენლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპულ კავშირში გაწევრება კი არა, წინაპართა სისხლით დღემდე მოღწეული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება გაგვიხდება სანატრელი...**



**ავთანდილ კახნიაშვილი**
სამართლის დოქტორი

# რას მოგვითხრობს წუთისოფლის წიგნი

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ინჟინერმა თამაზ ქვლივიძემ გამოგონებისათვის მიღებული ჯილდო

**20 000 მანეთი**

**ჩერნობილის ფონდში გადარიცხა**

**(1986 წლის 30 სექტემბერი)**



**ორი წლის წინ, კიევიდან ეს-ეს ჩამოსულს, მოგილურზე უცნობმა მამაკაცმა დამირეკა: მინდა ჩემი წიგნი გაჩუქოთ და როგორ გადმოგცეთო. მაშინ თბილისში არ ვიყავი და ვთხოვე, მწერალთა კავშირში დამიტოვეთ-თქო. ავტორის სახელმა და გვარმა „თამაზ ქვლივიძე“ ვერაფერი მითხრა, მაგრამ წაკითხვა მაინც გადავწყვიტე.**

**ტექსტი ავტობიოგრაფიული იყო, წერდა 1955 წელს დაბადებული, ცხოვრების დიდი სკოლაგამოვლილი ადამიანი, რომელსაც კალამი კარგად ემორჩილებოდა. უნდა შევნიშნო, რომ ამ ბოლო დროს მემუარული ლიტერატურა განსაკუთრებით მიზიდავს, რადგან თვითონაც ვაპირებ რაღაც ავტობიოგრაფიულის დაწერას და ამ სფეროში სხვათა გამოცდილება განსაკუთრებით მაინტერესებს. რა დასამალია, რომ მოგონებათა ავტორები არაიშვიათად სცოდავენ საკუთარი „მე“-ს წარმოჩენისას, მიიწერენ ისეთ თვისებებს, რაც არ გააჩნიათ, აზვიადებენ საკუთარ დამსახურებებს და ა.შ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ კითხვას გარკვეული სკეპსისით შევუდექი, რაც მალევე გამიქრა. მომხიბლა თხრობის უშუალო მანერამ, მონაყოლის სიწრფელემ და დამაჯერებლობამ.**

მოკლედ, შევყევი და სულ მალე ყველაფრის თანაზიარი გავხდი, რაც ამ მცირე მოცულობის წიგნში ჩაუტევია მემუარისტს. წიგნის გარეკანზე მას დევიზად გამოუტანია: ‘ვიცი, მე იგი გამიგებს, ვინც სულით ერისკაცია“. ანუ ვინც მზად არა ხართ ჩემი სატკივარი და საფიქრალი გულთან ახლოს მიიტანოთ, უქმად ნუ გაირჯებით და ამ წიგნის კითხვაში დროს ნუ დაკარგავთო. მე ჩემი თავი ასეთად არ ჩამითვლია და კითხვა ინტერესით განვაგრძე. იმთავითვე მენიშნა, რომ ესაა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ნიჭიერი, გამრჯე და მეოცნებე ადამიანის „წუთისოფლის წიგნი“, რომელშიც საოცარი გულწრფელობითაა აღწერილი ერთი სოფლელი ბიჭის მართალი, უკომპრომისო, გამარჯვებებითა და დამარცხებებით, აღმაფრენებითა და დარდებით სავსე ცხოვრების გზა. როგორც თვითონ წერს, უკიდურეს სიღარიბეში გაზრდილა, ალიზის ქოხში. მაგრამ ოჯახმა თურმე იმდენი იმარჯვა, იმდენი იმუყაითა, რომ ქვითკირის სახლიც აიშენა და იმ დროს მრავალთათვის საოცნებო ‘ვოლგაც“ კი შეიძინა. მეოცნებე ბიჭუნად იზრდებოდა და მისმა უშრეტმა ფანტაზიამ რეალური კონტურები 1966 წელს შეიძინა, როცა ფართოდ აღინიშნებოდა რუსთაველის 800 წლის იუბილე. იქიდან მოყოლებული მთელი მისი ცხოვრება „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებით გაცისკროვნდა და მას მერე რაც არ უნდა ეკეთებინა, უპირველეს მრჩევლად ყველგან რუსთაველი და მისი უკვდავი სიბრძნე ჰყავდა. გრანდიოზული იუბილით შთაგონებულს სურდა გენიალური პოეტისთვის საკუთარი 800 სტრიქონი მიეძღვნა, მაგრამ სანამ ამას მოახერხებდა, სიმინდის დასათესად გამზადებულ ადგილში 800 ძირი ვაზის რქა ჩაყარა და ახარა და ზვარს რუსთაველის სახელი უწოდა. ვაზის ახვევაზე მუშაობისას პირველ გამოგონებამდეც მივიდა – მრავალი ცდისა და მარცხის შემდეგ ორიგინალური ასახვევები შექმნა. 15 წლისას კი ყურძნის საკრეფი მანქანის იდეა გაუჩნდა. უკვე საგარეჯოს ტექნიკუმში მექანიზაციის ფაკულტეტზე სწავლობდა, როცა მანქანის მაკეტის აწყობას შეუდგა. მოსწავლის გამოგონება გახმაურდა – იგი დაათვალიერეს და მოიწონეს რესპუბლიკის ცნობილმა სპეციალისტებმა.

16 წლის გამომგონებელი თამაზ ქვლივიძე წახალისებისა და საჭირო ცოდნის შეძენის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსკოვში – სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაგზავნა. ეს იყო პირველი დიდი წარმატებაც და ოფიციალური მხარდაჭერაც. გამოფენიდან დაბრუნებულ ყმაწვილ ნოვატორს გამომგონებლობა დაუოკებელ ოცნებად ექცა და სულ მალე ეს ოცნება აიხდინა კიდეც. სწორედ იმ ვაზის ასახვევმა, რომლის 12 ვარიანტსაც თამაზმა იმდენი გარჯა ჩაატანა, მოკლე ხანში მილიონ მანეთზე მეტი ეფექტი გამოიღო და საგარეჯოელ მეოცნებეს ჯილდოდ იმ დროისთვის ფანტასტიკური თანხა– 20 ათასი მანეთი ერგო.

**„წუთისოფლის წიგნის“ კითხვისას ამ ადგილს რომ მივადექი, უცებ გონება გამინათდა, კინაღამ ხმამაღლა შევსძახე: „მე ხომ ამ კაცს ვიცნობ!“ გონებაში ამოტივტივდა თითქმის ოთხი ათეული წლის წინანდელი პუბლიკაცია გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“, სადაც საბჭოთა**

**საქართველო, ქართული ვაზი, რუსთაველი – აი, ის წმინდა სამება, რომელსაც „წუთისოფლის წიგნის“ ავტორი აღიარებს, ქედს უხრის და ეთაყვანება. ეს სიტყვები თუ ცნებები რომც გადავაადგილოთ, ჯამი მაინც ერთი იქნება და მას სამშობლო ერქმევა.**




**კავშირის გზათა მინისტრი ახალგაზრდა ქართველ რაციონალიზატორს მადლობას უხდიდა ჩერნობილის დახმარების ფონდში თავისი 20-ათასიანი პრემიის სრულად ჩარიცხვისთვის. მე მაშინ ქართული პრესისთვის ბევრს ვწერდი ჩერნობილის კატასტროფაზე, ხშირად ვიყავი ოცდაათკილომეტრიან ზონაში და, ცხადია, მაინტერესებდა ყველაფერი, რაც ამ თემას შეეხებოდა. ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში ეს არაორდინარული ფაქტი. მით უფრო, რომ მის უკან ჩემი თანამემამულე იდგა. ახალგაზრდა გამომგონებელს იმ დროისთვის ეს უზარმაზარი თანხა შეეძლო ოჯახისთვის მოეხმარებინა, საჭირო ნივთები შეეძინა, საზღვარგარეთ ემოგზაურა, ის კი ადგა და ჰონორარი ბოლო კაპიკამდე ჩერნობილის ფონდში გადარიცხა.**

1986 წელი იდგა, არათუ მარტო საბჭოთა კავშირი, მთელი მსოფლიო შეძრული იყო უკრაინაში მომხდარი ტექნოგენური კატასტროფით და ქართველმა გამომგონებელმაც თავისი პირველი სოლიდური ჯილდო მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის უყოყმანოდ გაიღო (ახლა სამართლიანად სტკივა გული, როცა ზოგი უმადური კიევიდან წამოაყრანტალებს, ქართველები არ გვეხმარებიანო)! ცნობისათვის: იმ დროს თამაზის მიერ მოძმე რესპუბლიკისთვის უანგაროდ გაღებული თანხით ერთი „ვოლგისა“ და ერთი „მოსკვიჩის“ შეძენა შეიძლებოდა, რაზეც მის უამრავ თანატოლს ფიქრიც არ შეეძლო. და მაინც, როგორც თავად ავტორი წერს, ერთი გაცვეთილი პიჯაკის პატრონმა ასეთი ნაბიჯი გადადგა.

ვერ ვიტყვით, რომ საქციელი არ დაუფასდა. იგი მიიღო საკავშირო მინისტრმა და სწორედ ბევრისთვის სანატრელი „ვოლგით“ დაასაჩუქრა, საკავშირო გამოფენამ კი ოქროს მედლით დააჯილდოვა. თამაზ ქვლივიძე რესპუბლიკაში ცნობილი პიროვნება გახდა. მასზე მასალების გამოქვეყნებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გაზეთები „პრავდა“, „ტრუდი“, „კომუნისტი“. „ახალგაზრდა კომუნისტი“.

1987 წელს თამაზი საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობაში იწყებს მუშაობას და ქმნის ორსიბრტყიანი ფორმის შპალერს, თან პარალელურად რუსთაველის სახელობის ვენახს ელოლიავება, სადაც რქაწითლისა და სუფრის ყურძნის ჯიშების მოსავლიანობას 30% ზრდის. ამით თამაზი ამტკიცებს, რომ მცირე ფართობზე ხშირი ნარგავებით შესაძლებელია ყურძნის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღება. და ეს მიღწევაც ახალი პრემიითა და სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. თამაზ ქვლივიძის შემდგომი კვლევა საქართველოში თავისუფალი მიწის რესურსების ძებნასა და გადიდებას, ვენახების დაბალ-მაღალი ფორმირებით გაშენებას მიეძღვნა.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით ნიჭიერი ქართველი ნოვატორი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს, სადაც იგი საფუძვლიანად გაეცნო სოფლის მეურნეობის თანამედროვე მიღწევებს. შემდეგ იყო სახელმწიფო მივლინებით ისრაელში მოგზაურობა და იქაური აგრარული დარგების გაცნობა, მიღებული შთამბეჭდილებების საფუძველზე დაწერილი და გამოქვეყნებული მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“ (1996), რომელიც სულ მალე რუსულად და ინგლისურადაც ითარგმნა. იყო კიდევ ერთი მოგზაურობა აშშ-ში, ამჟამად მევენახეობით განთქმულ კალიფორნიაში, ახალი გამოცდილებები და მათი ქართულ სინამდვილეში თავისებურად გააზრებისა და დანერგვის მცდელობა. ორიგინალური ჩანაფიქრების განსახორციელებლად სახელმწიფოს ჩარევა და მისი თანადგომა იყო საჭირო. საგარეჯოელი გამომგონებლის შესახებ ცნობილი გახდა ქვეყნის პირველი პირებისთვის, რომლებიც თითქოს დაინტერესდნენ მისი საქმიანობით და ამის დასტურად ერთგვარი პოპულისტური ნაბიჯებიც კი გადადგეს. თამაზ ქვლივიძის ვენახში ნამყოფია საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. იგი მიუღიათ საკავშირო და საბჭოთა საქართველოს მინისტრებს, დამოუკიდებლობის წლებშიც შეხვედრია არა ერთ მაღალი თანამდებობის პირს და მუდამ - საქვეყნო საქმეზე. დაპირებები, გაგიხარიათ, მიუღია, მაგრამ მხარდაჭერისა და თანადგომისა, რა მოგახსენოთ.

იქნებ მისი იდეები და წინადადებები ყოველთვის არ იყოს ბოლომდე გათვლილი და ჩამოყალიბებული, მაგრამ ყველა მათგანში რომაა ჭეშმარიტების მარცვალი და შესაბამისად, ისინი განხილვას, გაანალიზებას და პასუხის გაცემას იმსახურებენ, უდავოა. ჩინოვნიკის ბუნებას ზოგადად კარგად ვიცნობ და ვიცი, სავარძელში მოკალათებული მუქთახორა მეტწილად საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და ნებისმიერ ნიჭიერ და პატრიოტულად განწყობილ ადამიანში საკუთარ მეტოქესა და მტერს ხედავს. „წუთისოფლის წიგნის“ კითხვისას ბევრი ასეთი მაგალითი გვხვდება. ავტორს ხან პლაგიატში ედავებიან, ხან შემოთავაზებული წინადადების არააეფექტურობას უმტკიცებენ, ხან სულაც მკრეხელურ ცილისწამებაზე გადადიან. და „ბრალდებულსაც“ ნაცვლად იმისა, რომ საქმეს მიხედოს, უწევს სასამართლოებში სიარული, პატენტების დემონსტრირება და მტკიცება, რომ თეთრი თეთრია და შავი – შავი!

მოშურნეებთან და ავის მსურველებთან ბრძოლამ შეიწირა უამრავი დრო, ენერგია და ჯანმრთელობა. რაც მთავარია, დაზარალდა იდეები, რომელთა ხორცშესხმასაც ქვეყნისთვის შეეძლო რეალური სარგებელი მოეტანა. კითხულობ თამაზ ქვლივიძის უაღრესად გულწრფელ, ალალ სტრიქონებს და ხედავ: იგი თავგადასავლიანი კაცია, რომლის ბიოგრაფია სავსეა როგორც დამსახურებული გამარჯვებებით, ასევე დაუმსახურებელი წყენებით, აღფრთოვანებებითა და გულგატეხილობებით. და ამ თავგადასვლების ფონზე განსაკუთრებით დასაფასებელია მისი შეუპოვრობა, ოპტიმიზმი, ფანტასტიკური შრომისმოყვარეობა და საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

მე არ ვარ იმ დარგის სპეციალისტი, რომლის აღორძინებას, განვითარებას და წინსვლას მთელი ცხოვრება ემსახურება თამაზ ქვლივიძე, ამიტომ იქნებ კიდევაც შემეკავებინა თავი ამ მცირე გამოხმაურებისგან, ერთი გარემოება რომ არა – იგი სულით პოეტია და პოეზიის მუხტი ბოლომდე მსჭვალავს მის მონათხრობს. საქართველო, ქართული ვაზი, რუსთაველი – აი, ის წმინდა სამება, რომელსაც „წუთისოფლის წიგნის“ ავტორი აღიარებს, ქედს უხრის და ეთაყვანება. ეს სიტყვები თუ ცნებები რომც გადავაადგილოთ, ჯამი მაინც ერთი იქნება და მას სამშობლო ერქმევა. პატარაობიდანვე რუსთაველით, მისი უკვდავი სიტყვის მაგიით გაცისკროვნდა თამაზ ქვლივიძის მთელი მომავალი ცხოვრება, რომელიც რთული, ზიგზაგებიანი, მაგრამ საოცრად საინტერესო, შინაარსიანი და ნაყოფიერი გამოდგა. წიგნის ავტორის პოეტურ სტრიქონებში, რომლებიც სწორედ შოთას შაირითაა დაწერილი, განფენილია ავტორის ბიოგრაფია, მისი პატრიოტული სულისკვეთება, ერისა და ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული და მოწიწება. მას ჯერ კიდევ ბევრი ორიგინალური იდეა და ჩანაფიქრი უტრიალებს თავში და უკვირს, როგორ მოხდა, რომ ჩვენს მიერ დიდი ხნის წინათ დაგმობილ საბჭოთა კავშირში სასარგებლო გამოგონებას და მშობელი მიწისადმი ერთგულებას მეტი გასაქანი და დაფასება ჰქონდა. რატომ ფარავს მტვერი მის პატენტებს, რომელთა ხორცშესხმაც, ერთხელ კიდევ გავიმეორებ, სახელმწიფოს ეკონომიკას დიდად წაადგებოდა! თამაზ ქვლივიძეს ერთგან მოტანილი აქვს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ციტატა: „**ქვეყანა, რომელიც მეცნიერების განვითარებაზე არ ზრუნავს, ადრე თუ გვიან კოლონია გახდება**“. სამწუხარო ჭეშმარიტებაა, რომელსაც უსიტყვოდ ვეთანხმები და ერთხელ კიდევ მიჩნდება რიტორიკული კითხვა: „საიდან ასეთი გულგრილობა, ჩვენო საყვარელო ქვეყანავ!“

სულ ბოლოს კი ისევ თამაზ ქვლივიძეს დავესესხები: „წუთისოფლის წიგნში“ წარმოდგენილი ბიოგრაფია მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც სოცოცხლის 69 წლის მანძილზე გადამხდენია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შევქმენი 58 გამოგონება (38-ზე მიღებული მაქვს პატენტი, 20-ზე – რაცინალიზატორის მოწმობა). გამოვეცი 13 წიგნი. ვაზს მივუძღვენი არა ერთი ლექსი“.

**დამეთანხმებით, შთამბეჭდავი მონაგარია. და ეს მხოლოდ შუალედური ანგარიშია კაცისა, რომელიც კვლავ შემართებით აგრძელებს სიყმაწვილეში არჩეულ გზას და ოცნებობს უკეთეს, წელში გამართულ, ერთიან და დემოკრატიულ საქართველოზე. „წუთისოფლის წიგნი“ კი გრძელდება და, იმედია, იგი კიდევ არა ერთი მნიშვნელოვანი და საამაყო გვერდით შეივსება.**



**რაულ ჩილაჩავა,**

მწერალი, დიპლომატი, აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი



**ჩვენს გონიერ მკითხველს შევახსენებ, რომ რამდენიმე დღის წინ (27 მარტი), გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის, პედაგოგიკის დოქტორის, ზოგჯერ ზედმეტად თამამი და ოპოზიციური შეხედულებების მქონე „მეტყვიათმფრქვევის" ბატონ ზურაბ ცუცქირიძის სტატია ერთობ სენსაციური სათაურით „პედაგოგიკის მკვლელობა".**

# ქართული პედაგოგიკის მკვლელობა სამიდღემჩიოდ გადაიდო!

**წერილის ავტორი დაუნდოგლად აკრიტიკებს განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, ქვეყნის დალატად მოიხსენიებს ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაციის პროექტ-ინიციატივას.**

რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელსა და პედაგოგიურ პრესაში ნამუშაკევ ზურაბ ცუცქირიძეს როგორც პროფესიონალს, სრული უფლება აქვს აკრიტიკოს განათლების ურთულესი და უფაქიზესი დარგი, მაგრამ... პედაგოგიკის დოქტორს, ყველა დროის ქართველი განმანათლებლების მეხოტბეს, არაერთი პოპულარული სამეცნიერო, პედაგოგიური ნარკვევისა და წიგნის ავტორს, არ ეკადრება ასე ბლაგვი ნაჯახით დაჩეხოს განათლების სამინისტროს ახალი, აკადემიური წრეებისა და თვით პედაგოგთა დღევანდელი თაობებისთვის ჯერ კიდევ უცნობი, საერთო-სახალხო განხილვისთვის გამიზნული დეცენტრალიზაციის თაოსნობა-ინიციატივა!

**ბატონი ზურაბ ცუცქირიძე ტერმინ „დეცენტრალიზაციას" ნამეტნავად გაუღიზიანებია და მოურიდებლად წერს „მინისტრს არ ეტყობა იმის ინტელექტუალური ძალა ჰქონდეს, რომ თვითონ მოეფიქრებინა ასეთი მზაკვრული პროექტი, რაც ერთიან ეროვნულ ცნობიერებას ისე დაანგრევს, რომ მერე ათი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები საუკუნის განმავლობაში ვეღარ გააერთიანებენ, აღარაფერს ვამბობ განათლების უსაზღვრო დეგრადაციაზე, პედაგოგიური კადრების სრულ დემორალიზებასა და გამოთაყვანებაზე, რომელიც ამ ახალი „ინიციატივის" გარეშეც კარგა ხნის დაწყებულია...**

ოჰ, ოჰ, ოჰ, ბატონო დოქტორო როგორ გეკადრებათ ამ არაპედაგოგიური, არაეთიკური, უმწარესი სიტყვების („მზაკვრული", „გამოთაყვანებული", „დეგრადირებული", „ჭკუანაღრძობი", „გამოლაყებული"...) ფრქვევა „საწყალი", „გაუბედურებული" სისტემისა და პედაგოგიკის მისამართით?!

სწორედ ის, შენთვის (და ჩემთვისაც) სათაყვანებელი განმანათლებლები არ გვასწავლიან, რომ მთავარი ის კი არ არის რას და რის შესახებ იტყვი, მთავარია, როგორ იტყვი, თვალადური ქართული ენის ლექსიკიდან რომელ სალბუნად გამოსადეგ სიტყვას მოიხმობ, რომ პედაგოგიკის დოქტორს რიგითმა მასწავლებლებმაც დაგიჯერონ და მოსწავლეებმაც. აღარაფერს ვამბობ სკოლების დირექტორებსა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორ-პედაგოგებზე, შენს ტოლ-სწორ კოლეგებზე...

ზღვარდაუდებელი თავისუფლებისა და დემოკრატიზაციის გამო (მთელ მსოფლიოში მათ შორის რუსეთსა და ჩინეთშიც კი) განათლების დეცენტრალიზაციის პროცესი კარგა ხანია დაწყებულია, ამდენი კერძო სკოლა და უმაღლესი (ზოგჯერ „საავტოროც" კი) სასწავლებელი, განათლების სამინისტროს მიერ „მოწონებული" თუნდაც ხუთი სახელმძღვანელოდან, თითოეული სკოლისთვის მინიჭებული უფლება, – აირჩიოს რომელიც უნდა, თავის თავში გულისხმობს დეცენტრალიზაციას, საბაზრო ეკონომიკის გამღლეტ სისტემაზე განათლების დარგის მორგებას და ათასობით მოზარდის არცოდნაში, ცარიელ დიპლომში დიდი ფულის გადაყრას!.. ასე რომ, ბატონო ზურაბ, თქვენი „მოძველებული" დოგმიდან – **„სამი რამის დეცენტრალიზაცია არ შეიძლება სახელმწიფოში: არმიის, რკინიგზის და განათლების სისტემის"**, ისეთი პირი უჩანს, განათლების სისტემა ამოსაღებიც შეიძლება გახდეს. ამას თვითონ სწრაფი ტექნიკური პროგრესი, კომპიუტერიზაცია, მობილურ ტელეფონებთან ბავშვების (იმათი მასწავლებლებისაც!) მიჯაჭვა, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების აღსასრულისკენ შეუნელებელი სვლა, პანდემიის გამო დისტანციური სწავლების იძულებით შემოღება და სხვა ათასი ინოვაციური მამაძაღლობა განაპირობებს... ამას ჩვენი ტრადიციონალისტი, პაპების გინება უკვე ვეღარ ჩაწვდება!


კურიოზული უბედურება
№36. ოთხშაბათი. 27 მარტი. 2024 წელი.

ამ წერილის სათაური სენსაციურად მოეჩვენება მავანს, იფიქრებს, სად მოკლესო, ნეტავი, ეს უბედური პედაგოგიკა, დღისით მოხდა მკვლელობა თუ ღამით, ერთმა მკვლელმა (ქილერმა) ჩაიდინაო ეს თუ ჯგუფური ბოროტმოქმედება იყოო.

...იკის მკვლელობა

მინისტრს არ ეტყობა იმის ინტელექტუალური ძალა ჰქონდეს, რომ თვითონ მოეფიქრებინა ასეთი მზაკვრული პროექტი, რაც ერთიან ეროვნულ ცნობიერებას ისე დაანგრევს, რომ მერე ათი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები საუკუნის განმავლობაშიც ვეღარ გააერთიანებენ, აღარაფერს ვამბობ განათლების უსაზღვრო დეგრადაციაზე, პედაგოგიური კადრების სრულ დემორალიზებასა და გამოთაყვანებაზე, რომელიც ამ ახალი „ინიციატივის" გარეშეც კარგა ხნის დაწყებულია.

 აი, რკინიგზის დეცენტრალიზაცია რომ განახორციელოს ქვეყნის ჭკუიდან გადამცდარმა უფროსმა და სხვადასხვა პატრონი ჰყავდეს რკინიგზას – თბილისიდან გორამდე ჯოხიტლეჯიაშვილი, გორიდან ხაშურამდე – ღოგებლეჯიაშვილი, ხაშურიდან ზესტაფონამდე – ვინჯილაძე, ზესტაფონიდან ფოთამდე – მითაგვარია, რა აწყობილად იმუშავებდა რკინიგზის ტრანსპორტი!

**და რა სამწუხაროა, რომ თქვენ, ამ პრობლემების მოუგვარებლობას ჯიქურ იმ ორგანიზაციასაც აბრალებთ, რომლის ნამდვილი წევრი წლების განმავლობაში იყავით. საქმე ეხება საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც დარგობრივი, არასახელმწიფოებრივი, („ზემოდან" აბსოლუტურად დაუფინანსებელი) ინსტიტუტისა და ფაქტობრივად პედაგოგიური კადრების სამჭედლოოდ და ასე საჭირო დარგის განვითარების საქველმოქმედო შტაბად ითვლება. შეგახსენებთ, რომ განათლების აკადემიის ეს შტაბი შექმნა ლეგენდარულმა პედაგოგმა და სახელმწიფო მოღვაწემ ქალბატონმა ნათელა ვასაძემ, რომლის მეცნიერულ კომპეტენციასა და პედაგოგიურ აზროვნებაში თქვენ არასდროს ეჭვი არ შეგპარვიათ... დღეს კი ამ აკადემიას შესანატრი მონდომებით ხელმძღვანელობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი დიპლომატი, ისტორიკოსი და სამართალმცოდნე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე.**

სწორედ მან და თქვენმა უახლოესმა მეგობრებმა მოგიწვიეს, ბატონო ზურაბ, ამ ცოტა ხნის წინათ აკადემიის საგანგებო სხდომაზე, სადაც თქვენი პუბლიცისტური განაჩენი-„პედაგოგიკის მკვლელობა" უნდა განეხილათ და პირადად თქვენთვის ეჩვენებინათ, თუ რა კეთდება განათლების მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და რის გაკეთებას აპირებენ უახლოეს მომავალში. სამწუხაროდ, თქვენ ეს არ ისურვეთ!

ზურაბ ხონელიძემ იმ შეხვედრაზე ჩვეული დამაჯერებლობით გვითხრა:

„საქართველოში დღეს ურთულესი და წინააღმდეგობებით აღსავსე პრობლემებია, მათ შორის განათლების სისტემაშიც. ამ პრობლემების ანალიზი გვკარნახობს, რომ აუცილებელია სტრატეგიული აზროვნება, რომელიც გამყარებული იქნება საღი ინტელექტუალური არგუმენტებით. ეს ადამიანებს დაუბრუნებს რწმენას ფუნდამენტური ღირებულებებისადმი. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ თავისუფლებას, სამართლიანობას, სიყვარულს. ეს ერთგვარი ინტელექტუალური რწმენაა, რომელიც, თავის მხრივ, აჩენს ყველაზე მაღალი ხარისხის ნდობას ადამიანებსა და საზოგადოებას შორის. დღევანდელ შეხვედრას და ჩვენთვის ასე ძვირფასი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების აკადემიის საქმიანობას მხოლოდ მსგავს კონტექსტში განვიხილავ.

ფაქტია, რომ განათლების რეფორმაზე, საბჭოთა მოდელის დადებითი მხარეებისა და დამოუკიდებელი საქართველოს მოთხოვნების შერწყმაზე პოლემიკა დროდადრო აქტიურ ფაზაში შედის და უფრო მტკივნეული ხდება. სამწუხაროდ, ამ პროცესის ნაწილად არ აღიქმება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 2024 წლის 27 მარტის ნომერში დაბეჭდილი ზ. ცუცქირიძის წერილი „პედაგოგიკის მკვლელობა". უტრირებული, ზედმეტად გამომწვევი სათაურის მიუხედავად, მასში გამოთქმული საყურადღებო მოსაზრებაც კი სუბიექტურადაა წარმოდგენილი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის დადანაშაულება ქართული პედაგოგიკის დასამარების ხელშეწყობაში, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უცნაური და მეტისმეტად გაზვიადებულია".

ზურაბ ხონელიძემ ბოლოს დიდი გულისტკივილით დასძინა:

**წერილში ძალუმად იგრძნობა გემოკვეთილი ქართული თვისებაც – საკუთარი პოზიციის ერთადერთ ჭეშმარიტებად შერაცხვისა. მეორე მხრივ, ამგვარ პუბლიკაციებზე გამოხმაურება, პასუხის გაცემა აძლიერებს მათი ავტორების ამბიციას, რაც საქმეს არ წაადგება. საქმეს კი მხოლოდ სახელმწიფოებრივ ინტერესზე დაფუძნებული ობიექტური რეფლექსი, პროფესიონალიზმი, სწავლა (სწავლების) აქტუალური საკითხების ნათლად წარმოჩენა და განხორციელება წაადგება... კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დიდი ილია ჭავჭავაძე: „კაცი მხოლოდ მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს". სწორედ ასეთი კაცების, მამულიშვილების სიმრავლე გადაარჩენს განათლებასაც და ქვეყანასაც, რადგანაც ილიასვე თქმით „სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ ბედი თვითონ ქვეყნისაც"...**

ერთობ ძნელია არ დაეთანხმო ბატონ ზურაბ ხონელიძეს.

შეხვედრაზე განათლების სადღეისო პრობლემებზე საკუთარი თვალსაზრისი წარმოადგინეს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, პროფესორებმა ლუბა ბიბილეიშვილმა, ავთანდილ ასათიანმა, იური პაპასქუამ, ლელა თავდგირიძემ (ჩართვა ბათუმიდან), ლევან ყიფიანმა, მამუკა თავხელიძემ, სერგო ვარდოსანიძემ, ინდირა ძაგანიამ, რევაზ ძნელაძემ და სხვ.



განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ „პედაგოგიკის მკვლელობის" მრისხანე ავტორის ზურაბ ცუცქირიძის გაზეთის ფურცლებიდან გაცხადებულ სურვილს აკადემიის წევრობიდან გასვლის შესახებ.

ასე მოიჭრა მეცნიერმა-პუბლიცისტმა ის ტოტი, რომელზედაც წლების განმავლობაში ამაყად იჯდა.

**სპარტაკ ქობულია**

**P.S.** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიას ბ-ნ ზ. ცუცქირიძის წერილში წამოჭრილი ყველა პრობლემის ჯანსაღი ანალიზისთვის და სრულყოფილ საინფორმაციო მხარდაჭერას ჰპირდება მას ქართული „პედაგოგიკის მკვლელობის" აღკვეთის უზრუნველყოფაში.

# საკონსტიტუციო ცვლილებები „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ"

**„ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა დღეს იწყება.**

საყოველთა-სახალხო განხილვის საორგანიზაციო **კომისიის პირველი შეხვედრა 22 აპრილს ქუთაისში, 11:00 საათზე გაიმართება.**

**კომისია მომდევნო შეხვედრებს 23 აპრილს – ამბროლაურში, 24 აპრილს – ოზურგეთში, 25 აპრილს – ბათუმში, 26 აპრილს – ზუგდიდში, 27 აპრილს კი მესტიაში გამართავს.**

პარლამენტში განმარტავენ, რომ საქართველოს სხვა რეგიონებში შეხვედრების გამართვის შესახებ ინფორმაცია დაზუსტებისთანავე გამოქვეყნდება.

**„კონსტიტუციური კანონის პროექტით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია".**

**ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, კონსტიტუციური კანონის პროექტით განისაზღვრება ქორწინებასთან, არასრულწლოვანის შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდასთან, ადამიანის სქესის შესაცვლელად სამედიცინო ჩარევის განხორციელებასთან, ოფიციალურ დოკუმენტში სქესის მითითებასთან, სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებასთან, შეკრებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი",** – ნათქვამია საქართველოს პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი.**

## საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადება

# ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია გმობს ბოლო დღეებში რამდენიმე მედიასაშუალების ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილ ძალადობას!

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან დღემდე, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ჟურნალისტები ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის სამიზნეები არიან.

**2003-2012 წლებში, არამხოლოდ ცალკეული აგრესიული დაჯგუფებები, არამედ თავად ხელისუფლება იქცა მოძალადედ და რამდენიმე მედიასაშუალების დახურვას, გამომცემლობა „სამშობლოდან" ათეულობით ჟურნალ-გაზეთის რედაქციის გამოყრას, ტელეკომპანია „იმედის" დარბევა-მიტაცებასა და ფოტორეპორტიორების დაპატიმრებასაც არ მოერიდა.**

ამ ფონზე, როცა პოლიტიკური პოლარიზაცია უკიდურეს ზღვარს აღწევს, ჟურნალისტებიც დაპირისპირების უშუალო მონაწილეებად იქცნენ და ხშირად, საზოგადოებაც ჟურნალისტებს არა ინფორმაციის, არამედ დეზინფორმაციის გამავრცელებლებად აღიქვამს. **ცალკეულ შემთხვევებში ეს აგრესია სწორედ პოლიტიკოსების მიერ იმართება** და, შესაბამისად, სერიოზული პრობლემაა ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია გმობს ბოლო დღეებში რამდენიმე მედიასაშუალების ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილ ძალადობას!**

**აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობა არ დაუგმია საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს!**

არადა, ის უპირველესად უნდა იყოს თითოეული მოქალაქის, და მითუფრო — ჟურნალისტების უსაფრთხოების გარანტი!

**ვგმობთ ნებისმიერი ფორმით ვერბალურ თუ ფიზიკურ ძალადობას, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას და პოლიტიკოსებს მოვუწოდებთ, შეწყვიტონ ჟურნალისტების ინსტრუმენტალიზაცია და პროტესტის გამოხატვის დროს მაქსიმალურად უზრუნველყონ საკუთარი მომხრეებისგან მედიის წარმომადგენლების დაცვა!**

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე:**

**გიორგი მამაცაშვილი.**

**პრეზიდიუმის წევრები:**

**ლაშა ნადარეიშვილი.**
**ნანა დევდარიანი.**
**ბონდო მძინარაშვილი.**
**არჩილ გოგელია.**
**აკაკი სიხარულიძე.**
**ნანა ლომაია.**
**გოჩა ხუნდაძე.**
**ჯაბა ხუბუა.**

## გიორგი მამაცაშვილი:

# დიახ! ეს ყველაფერი არ იციან ჩვენმა შვილებმა!




●

**1991 წლის დეკემბერში არც სახელმწიფო გადატრიალების და არც ე.წ. რევოლუციების მასშტაბები არ ჰქონდა ხალხს გააზრებული.**

მეტიც: რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე ასეული კაცის გამოსვლა რევოლუციად წარმოაჩინა იმდროინდელმა ოპოზიციამ.

ოპოზიციამ, ანუ **ბეპაევისგან** ნაყიდი შეიარაღებით გულმოცემულმა **ინტელიგენციის ნაწილმა** და **„მხედრიონის"** ლეგენდომანიით შეპყრობილმა შეიარაღებულმა ახალგაზრდობამ...

●

**ასე დაამხეს შეიარაღებული „პუტჩით"**, ანუ შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებით ქართველი ერის 87% - ის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** და **კანონიერად არჩეული უზენაესი საბჭო.**

**და მას შემდეგ იზრდებოდა თაობა იმ პროპაგანდით, რომ გამსახურდიამ ოქროს ზოდები მოიპარა და ქვეყნის ბიუჯეტი გაზიდა საზღვარზე.**

**ამ პროპაგანდით იზრდებოდა თაობა იმ დრომდე, ვიდრე მთელი ქართველი ერი არ დახვდა ლარსის საზღვარზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნეშტს და ვიდრე დიდებით არ დაკრძალეს მისი ცხედარი მთაწმინდის მამულიშვილთა პანთეონში.**

ფერად რევოლუციად და სახალხო აჯანყებად შერაცხეს **ე.წ. „ვარდების რევოლუცია"** ორიათასსამში და მხოლოდ წლების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ „რევოლუციონერებს" **არც იარაღის ნაკლებობის პრობლემა ჰქონდათ** და **არც კარგად ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების სცენარი ჰქონდათ ჰაი-ჰარალეზე ნასწავლ-დაგეგმილი.**

●

გაზულუქებული სააკაშვილისა და მისი მეხოტბეების არმია ნელ-ნელა შემცირდა.

თუმცა, სექტის რაოდენობის შემცირებამდე, **წაგებული ომი აზეიმეს რუსთაველზე ხალხს, ბიზნესები საკუთარ „ხოშზე" გადაიფორმეს, ციხეები პატიმრებით გაავსეს და საპატიმროებში მიცვალებულებზე მიბმული პატიმრების ყვირილი ცაში ღმერთს ესმოდა მაშინ...**

●

თუმცა, ეს არ იცის ამ თაობამ, ვინც ახლა ემოციებით აღსავსე დგას რუსთაველზე და ბრმად უკრავს ტაშს ლოჟების კოლტს!

**ამ ახალგაზრდებმა არც ის იციან, რომ ე.წ. „კასრების კადრები" რეალურად არსებობდა** და ჩვენდა სამარცხვინოდ, შავ ლაქად წერია საქართველოს ისტორიაში!

**ამ თაობამ არც ის იცის,** რომ **„ვივამედის"** ჯალათი ბელადი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც რუს ტურისტებს შემოუძღვა ლარსზე პირველად და სწორედ ამ ხროვის საპრეზიდენტო კანდიდატი იყო **გრიგოლ ვაშაძე, რომელიც რუსული კულტურის ნაწილად მიიჩნევს დღესაც თავს!**

**ამ ახალგაზრდობამ არც ის იცის,** რომ მათ გვერდზე მდგარი **ელენე ხოშტარია** სწორედ **რუსეთიდან ჩარიცხული რუბლებით უხდის ჯამაგირს** ქვეყნის დაქცევის საქმეში აქტიურობისთვის ამავე ახალგაზრდების ნაწილს და როგორც ამბობენ, მისი ორგანიზაცია **„დროა"** სწორედ რუსული სპეცსამსახურების ფინანსებით სულდგმულობს ახლაც.

არ იციან და რა ქნან...

**ამ თაობამ არც ის იცის,** რომ ჯალათი **მეგის ქარდავას** იდეოლოგიის მატარებელმა და „მწერლად" შერაცხილმა **ლაშა ბუღაძემ** წმინდა თამარ მეფე მეძავად დახატა თავის კრეტინულ ნაწარმოებში.

**ამ ახალგაზრდებმა ალბათ, არ იციან,** რომ იმავე **ლაშა ბუღაძის** იდეური თანამებრძოლი **ზაზა ბურჭულაძე ერთ-ერთ საკუთარ ნაწარმოებში ღვთისმშობელზე, გაბრიელ ბერზე და რაღა შორს წავიდეთ, - საკუთარ დედაზე ყველაზე უშვერი და ბინძური ტექსტით წერს...**

**ამ თაობას არც ის აუდიოჩანაწერი აქვს მოსმენილი, სადაც მათი კუმირი ბენდუქიძე, თავად სააკაშვილი და ამ აქციების რამდენიმე „გმირი" წმინდა გიორგის გამასხარავებაში ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.**

**არ მოუსმენიათ ამ ახალგაზრდებს ეს სიბინძურეები** და ამიტომ ამაყობენ თავლენჩი **ჭიჭევაშაძისა** და პატრიოტი ბიჭების ტელეეთერში დაპატიმრების ინიციატორი **ელისაშვილის** გვერდით დგომით.

**ამ თაობას არც შვიდი ნოემბრის კადრები უნახავს** და **არც ოცდაექვსი მაისის სისხლიანი ღამის** კოშმარი დასიზმრებიათ როდესმე.

**არ იციან,** როგორ უჯიგროდ და ცივსისხლიანი გესტაპოელებივით ხოცავდნენ **მერაბიშვილისა** და **ახალაიას** ზონდერები ხალხს განსხვავებული აზრისთვის და მერე **გვამებს ჯიხურების სახურავებზე მალავდნენ!**

**ამ ახალგაზრდებმა არ იციან,** როგორ შეიძლება ჯერ რამდენჯერმე დააპატიმრო და შემდეგ ქუჩაში, სახალხოდ, საჯაროდ დახვრიტონ დიდი მეცნიერი, რათა ერთბაშად დააშინონ ქართველი საზოგადოება!

დიახ, ასე ულმერთოდ დახვრიტეს **გურამ შარაძე ბოკერიასა** და **სააკაშვილის** ხელისბიჭებმა!

სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდებს ხშირად **არც იმ აუდიოჩანაწერს ვასმენინებთ, სადაც მიხეილ სააკაშვილიცა და მისი პირსისხლიანი ბიძა თემურ ალასანიაც ქართველ ერს "დედამოტ...ნულ" ერად იხსენიებს** და თუ რამ ლექსიკა აქვთ მარაგში, ჩვენი ხალხის ლანძღვაში "ლესავენ"...

**ესაა უბედურება, თუა!**

აბა, **გვარამიას, ლომჯარიას, ბოკუჩავასა** და **წითლიძე-სამადაშვილ-ნაცვლიშვილს** რა მუცლის გვრემაც აქვთ, ისედაც იცის ქართველმა საზოგადოებამ...

●

ახლა ერთ იდიოტ ვითომ პოეტსაც ამოუღია ხმა.

**„ივანიშვილს კადაფის ბედი ელის და გააჯ..ვას დროზეო"** - უბრძანებია **კოტე ყუბანეიშვილს**.

ეს ის **კოტეყუბანეიშვილია, გიგი უგულავამ** სანაგვეების პოეტად რომ გაამწესა ნაცების ზეობის ხანაში და თუ რამე სიბინძურის თქმა უნდოდათ, მისი მყრალი პირით რომ ამბობდნენ.

**ყუბანეიშვილზე** დიდხანს არ მოგაცდენთ, ჩემო ძვირფასებო.

**ერთი ავადმყოფი, გაუბედურებული აზროვნების და ძაღლივით ძვალზე დაგეშილი მოხუცია.**

მასეთებს არც უნდა ვუსმინოთ, მაგრამ ერთს ნამდვილად ვიტყვი: **ქართველი ერის კაცთმოყვარეობისა რა ვთქვი, თორემ ცხენის ძუაზე გამობმული უნდა ეთრია ერს თავის დროზე რამდენიმე ნაძირალა და დღეს აღარ მომიწევდა ამ წერილის წერა ამ გულისტკივილიანი პათოსით.**

ამ ნაძირალების სახელებისა და გვარების ჩამოთვლით დღეს აღარ მოგაცდენთ.

„ლეგიონნია" მათი სახელი და დროშაზე **ზურაბ ჭიაბერაშვილისა** და **ლევან რამიშვილის** პორტრეტები აქვთ გამოსახული.

●

ჩემი მეგობრის მცირეწლოვან შვილს ამასწინათ, სკოლაში, „მე და საზოგადოების" საგანში ასეთი რამ აუხსნეს: პირველი დამოუკიდებლობის შემდეგ, თურმე, **სააკაშვილს** უხსნია საქართველო და დროშა და გერბი სწორედ მაშინ ღირსებია ჩვენს ქვეყანას. ვერ ვაფასებთ სააკაშვილის ამაგსო, - ჩურჩულით დაუყოლებია პედაგოგს.

**აი, ესაა უბედურება სწორედ!**

**ესაა სათავე ყველანაირი ბოროტებისა და უვიცობისა.**

●

ისე იზრდებიან თაობები, ცხრა აპრილს რა მნიშვნელობის თარიღია, არ იციან.

არ იციან, ან **1989 წელს** რა მოხდა, ან - **1991 წელს** რის საფუძველზე მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის და-

მოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

დიახ, არ იციან, რას ვზეიმობთ 26 მაისს!

საუბედუროდ, **რატი ამაღლობელისა** და პატრიარქის მაგინებელი რამდენიმე **„უბორნიის პოეტის“** შემხედვარეებს, **იოსებ გრიშაშვილისა** და **იოსებ ნონეშვილის** სახელი არც კი გაუგიათ!

ესაა სიმართლე და მომკალით, თუ გინდათ!

ესაა სიმართლე და ნუ გვიკვირს, პლანით გამძღარი და შუათითგაშეშებული ნაძირალების შემყურეთ, თუ სხვა აზრებითა და აღმატებული იდეებით ველარ ვხიბლავთ.

აბა, ჩემს ბავშვობაში ტელეგადაცემები დიდი **მერაბ ბერძენიშვილის „ალგეთის ლეკვების“** კადრებითა და **„სამშობლოს“** ჰანგებით იწყებოდა და ასეთი იდეოლოგიით გაიზარდა ჩემი თაობა.

**ილიათი** და **ვაჟათი** გაიზარდა ჩემი თაობა, რაფიელ ერისთავის პოეზია და **ნოდარ დუმბაძის „ვარადა“** იყო ჩვენი „ჯომოლუნგმა“.

დილას წიგნის კითხვით ვიწყებდით და ღამეს **„გიორგი სააკაძის“** ცქერით ვასრულებდით.

მეც იმავეს ვიმეორებ ახლა, რასაც მთელი ერი:

**არა - ნებისმიერ კანონს, რომელიც ელჩებისა და სენატორების კარნახით იწერება და არა აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება ის თუ მონღოლური!**

**არა - სააკაშვილის სისხლიან(!) რეჟიმს და მერაბიშვილისა და კეზერაშვილის დაბრუნების იდეურ მსურველებსაც ჩემი პროტესტი!**

**არა - ოკუპანტ რუსეთს და ნებისმიერ ოკუპანტ ქვეყანას!**

და მითუფრო, მათგან სისხლს მოწყურებული სვავების გასაძლომად გადმოგზავნილ ფულს!

**კი - გამჭვირვალობასა და ევროპულ საქართველოს!**

**ოღონდ ისეთი ევროპისას, სადაც სულხან-საბას კვლავ წვერით არ ათრევენ და ლუდოვიკოსთან მეთოთხმეტე კაცად არ ჩაწერენ!**

**კი - ევროპას, მაგრამ უფრო დიდი და ხვავრიელი კი - თავისუფალ, მშვიდობიან, დამოუკიდებელ, სულქართულ და მზექართულ საქართველოს!**

ერთიცაა: თუ მაგრები არიან, თავად თქვან რუსულ ფულზე უარი - **ხოშტარიამაც, ნაყოფიამაც, ვაშაძემაც** და იმ **მერაბიშვილმაც**, რომლისთვისაც „ფულს სუნი არა აქვს!“...

ვერ არიან მაგრები და ვერ იტყვიან!

**მიპარვით დარტყმებში** არიან მაგრები და **წმინდა გიორგის გინებაში** არიან მაგრები!

**ნაძირალები** არიან და იმიტომ!

**ნაგვები** არიან და იმიტომ!

**ლაჩრები** არიან და იმიტომ!

**სვავები** არიან და იმიტომ!

**სამშობლოს გამყიდველები** არიან და იმიტომ!

**სამშობლოს მოღალატეები** არიან და იმიტომ!

და სამწუხაროდ, ბევრი „იმიტომ“ შეიძლება კიდევ დაიწეროს...

●

ახლა ვინმე მეტყვის, ამდენ ცუდს რატომ იხსენებ, ისინი ცუდები რომ იყვნენ, იმიტომაც მოიშორა ხალხმაო...

ვერ დაგეთანხმებით. უკან დაბრუნება რომ უნდათ ამ ღორებს, იმიტომაც ვწერ.

ამ გაბრიყვებული და „დაბოლილი“ თაობის გარყვნა და გამოყენება რომ უნდათ უკან დასაბრუნებლად, იმიტომ ვწერ.

**ამ ანგელოზ ბავშვებს გადარჩენა რომ სჭირდებათ, იმიტომ ვწერ.**

●

ჩემი შვილების თაობაა და სწორად აღზრდა რომ ჭირდება თითოეულ მათგანს, იმიტომ ვწერ!

პლანით გამძღარი “გირჩელების” იდეოლოგიით რომ იზრდება ბევრი მათგანი, იმიტომ ვწერ.

სკოლაში რომ უნდა ჩავუყაროთ საძირკველი, იმიტომ ვწერ.

აქაც ბევრი „იმიტომ“ შეიძლება დაიწეროს, სამწუხაროდ...

მაგრამ მთავარი სხვა რამეა:

**ვერ** ეღირსებიან სვავები საკუთარი ბინძური ზრახვების ასრულებას!

**ვერ** მოაწყობენ სისხლიან „მაიდანს“ საქართველოში!

**ვერ** „გააპიდარასტებენ“ ერს ვერასდროს!

**ვერ** ამოიყორავენ სტომაქს ქართველი ხალხის ხორცით!

**ვერც** განათლებას მოსპობენ ჩვენი შვილების თაობაში.

**ვერც** ჟურნალისტიკას შებღალავენ ე.წ. ჟურნალისტების კნავილითა და ათასგვარი ცილისწამებით.

**ვერც** პოლიციას გამოიყვანენ წყობიდან იმ შეურაცხყოფებითა და ზიზღით, რასაც ავლენენ.

რადგან **ეს ქვეყანა ისევ იმ ფესვებზე დგას, რომელზეც იდგა საუკუნეების განმავლობაში!**

და ჩვენც, - **„აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს!“**

## ◉ ჟურნალისტთა საფიხვნოში

ქრონიკა

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
Federation of Georgian Journalists
FGJOURNALISTS@GMAIL.COM
ქ.თბილისი. აკაკი წერეთლის №116. მე-4 სართული

# საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია

# ახალ სიცოცხლეს იწყებს!

*თანამედროვე მოდური ტენდენციების აყოლა რომ გვინდოდეს და უცხოურ სიტყვათა რახარუხი გვხიბლავდეს, ვიტყოდით, რომ 2024 წლის 12 აპრილს გამართულ ყრილობაზე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რებრენდინგი განხორციელდა და ამიერიდან* ***საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციად*** *იწოდება.*

სინამდვილეში, მოხდა ის, რომ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა, ყრილობის დელეგატთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაიბრუნა სახელი, რომელიც 2003 წლამდე ერქვა — **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია!**

რაც მთავარია, **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია** ძველი სახელის დაბრუნებით ახალ სიცოცხლეს იწყებს, რადგან მრავალწლიან მისავათებას თავი დააღწია, ფინანსურ დავალიანებათა მძიმე უღელიც გადაიგდო და გადარჩენილმა „ჰოპლაც“ დაიძახა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც გასული წლის 8 აპრილს, მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ ჟურნალისტი და მედიამენეჯერი, საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორის“ გენერალური დირექტორი **გიორგი მამაცაშვილი** აირჩიეს.

აწ უკვე **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** თავმჯდომარემ ბოლო ერთი წლის განმავლობაში რა ღონე იხმარა და როგორ მოახერხა მძიმე მემკვიდრეობისათვის თავის დაღწევა, ორგანიზაციის მრავალათასიანი დავალიანების გასტუმრება და აუქციონზე გასაყიდად გამზადებული ოფისის — ვაკეში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის ჟურნალისტებისათვის შენარჩუნება, ამის თაობაზე მან თავად ჩააბარა დეტალური ანგარიში ამა წლის 12 აპრილს გამართული ყრილობის დელეგატებს.

როგორც ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ცნობილმა და სახელოვანმა ჟურნალისტებმა — **არჩილ გოგელიამ, პაატა ნაცვლიშვილმა, აკაკი სიხარულიძემ, ნანა დევდარიანმა, გრიგოლ ჩიგოგიძემ, ბონდო მძინარაშვილმა, თამთა ბერიაშვილი, მაია კახიძემ და მარინა თექთუმანიძემ** აღნიშნეს, **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** განახლება და გაძლიერება ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისაკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ჰოდა, იწყებს ახალ სიცოცხლეს **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია,** რომელმაც 12 აპრილს გამართულ ყრილობაზე საკუთარი წესდების ახალი რედაქციაც დაამტკიცა და გამგეობისა და პრეზიდიუმის ახალ წევრებადაც აირჩია რამდენიმე სახელოვანი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

2024 წლის 12 აპრილის ყრილობაზე დამტკიცებულ გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრთა სრულ სიას აქვე გთავაზობთ და არც იმის თქმის შეგვეშინდება, რომ **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** ახალ სიცოცხლესთან ერთად ქართულ ჟურნალისტიკაში ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობა: ***გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, აკაკი სიხარულიძე, ნანა დევდარიანი, პაატა ნაცვლიშვილი, ჯაბა ხუბუა, ბონდო მძინარაშვილი, არჩილ გოგელია, მარინე გიგინეიშვილი, მარინა თექთუმანიძე, ნინო გოძიაშვილი, ვან ბაიბურთი, გიგლა გობეჩია, სპარტაკ ქობულია, გუბაზ მეგრელიძე, თამთა ბერიაშვილი, ირმა ინაშვილი, ლალი მორომკინა, ნიკოლოზ ყანდიაშვილი, ანტონ ლასხიშვილი, ვახტანგ ხუნდაძე, ვადიმ ანასტასიადი, რობინზონ ოდიკაძე, შახვალად აივაზოვი, დათო ქაჯუთია, ნანა ლომაია, ჯემალ სეფიაშვილი, მიხეილ აბაიშვილი, მარინე კახიძე, თეიმურაზ ჟღენტი, თამარ ჩაჩანიძე, ლიანა ჰილაძე, გულიადა ჭკადუა, ლამარა გიორგაშვილი, მამია ვაშაკიძე, მარინე დამენია, მარიამ ზედელაშვილი, მერაბ ბალაშვილი, დავით წერეთელი, ქეთევან სესიაშვილი, ია მიროტაძე, ნაზიკო მეშველიანი, ლეონიდე დოლიძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ვახტანგ ნადირაძე, ბადრი ვადაჭკორია, ივანე ჯაფარიძე, თამაზ ჭეიშვილი, დემიკო ლოლაძე, ალექსანდრე კოტორაშვილი, მერაბ ხაჩიძე, ზაურ ნაჭყებია.***

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმი: ***გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, ნანა დევდარიანი, აკაკი სიხარულიძე, ბონდო მძინარაშვილი, არჩილ გოგელია, ნანა ლომაია, ვახტანგ ხუნდაძე, ჯაბა ხუბუა.***


გიორგი მამაცაშვილი


ბონდო მძინარაშვილი


პაატა ნაცვლიშვილი




აკაკი სიხარულიძე




არჩილ გოგელია


ნანა დევდარიანი



## ჯინ შარპი:

# ხავერდოვანი რევოლუციის ზოგადი ტექნოლოგია

გთავაზობთ ამერიკელი პროფესორის ჯინ შარპის ნაშრომის „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ ერთ ნაკვეთს. ნაშრომი ქართულად თარგმნეს ნინო წოწორიამ და ნოდარ ლაბარტყავამ.

მედიებს უამრავი მსხვერპლი და სისასტიკე მოჰქონდათ და გამარჯვების ან თუნდაც იმედის ჩასახვის ნაცვლად არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდნენ.

2. **Freedom House, Freedom in the World, http://www.freedomhouse.org.**

უკვე ზედიზედ მეათე წელია, რაც „ფრიდომ ჰაუსი“ მსოფლიოში თავისუფლების ხარისხის კლებაზე იუწყება. ასეთი რეალობის ხელშემწყობ ფაქტორებს, შარშანდელი მონაცემებით, წარმოადგენდა მსოფლიოს მასშტაბით გამოვლენილი ურთიერთგადამკვეთი კრიზისები, რომლებიც დემოკრატიულ ქვეყნებში კვებავდნენ ქსენოფობიურ განწყობებს და მთელ რიგ სახელმწიფოებში პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს იწვევდნენ.

წინასიტყვაობაში, რომლის თანაავტორი „ფრიდომ ჰაუსის“ ვიცე-პრეზიდენტი გამოკვლევების საკითხებში არჩ პადინგტონია, ნათქვამია, რომ ეკონომიკურმა უკუსვლამ ბევრ ქვეყანაში კიდევ უფრო გაართულა კომპლექსური პრობლემები, რაც თავის მხრივ, კორუფციითა და საგარეო პოლიტიკის სარბიელზე დაშვებული შეცდომებით იყო განპირობებული. **https://gtmarket.ru/ratings/freedom-the-world/info** (მთარგმნელი)

## რეალური წარმოდგენა დიქტატურაზე

**უკანასკნელი** ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი ან გარედან თავს მოხვეული, უამრავი დიქტატორული რეჟიმი, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობის ზეწოლის შედეგად დაემხო ან შეირყა. ხშირად ვერც წარმოედგინათ, თუ რეჟიმის ადგილიდან დაძვრა იქნებოდა შესაძლებელი, ისე ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული, მაგრამ რეალობაში, ადამიანების შეთანხმებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა დაუმორჩილებლობამ ყველა წინააღმდეგობა დასძლია.

1980 წლიდან, ძირითადად არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის წყალობით, დიქტატორული რეჟიმები დაემხო ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სლოვენიაში, მალიში, ბოლივიაში, ფილიპინებსა და მადაგასკარზე. არაძალადობრივმა წინააღმდეგობამ დემოკრატიზაციასთან ახლოს მიიყვანა ნეპალი, ზამბია, სამხრეთ კორეა, ჩილე, არგენტინა, ჰაიტი, ბრაზილია, ურუგვაი, მალავი, ტაილანდი, ბულგარეთი, უნგრეთი, ზაირი, ნიგერია და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილი, მან ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1991 წლის აგვისტოს პუტჩზე გამარჯვებაში.

გარდა ამისა, უკანასკნელი წლების განმავლობაში მასობრივი პოლიტიკური დაუმორჩილებლობა განხორციელებულ იქნა ჩილეში, ბირმასა და ტიბეტში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლებმა ბოლომდე ვერ დაასრულა მმართველი დიქტატურები და ოკუპაციები, მათ მსოფლიო საზოგადოებას მსგავსი რეჟიმების სისასტიკე აჩვენეს და მოსახლეობას ამგვარი ბრძოლების მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინეს.

ჩამოთვლილ ქვეყნებში დიქტატურის დამარცხება, რა თქმა უნდა, სხვა დანარჩენ პრობლემებს ვერ წყვეტს. დიქტატორული რეჟიმები მემკვიდრეობით სიღარიბეს, დამნაშავეობას, არაეფექტურ ბიუროკრატიას და განადგურებულ გარემოს ტოვებენ. მაგრამ, ჩაგვრის მსხვერპლთ მნიშვნელოვნად უმსუბუქდებათ ტვირთი და რაც მთავარია, გაცილებით ფართო გზა იხსნება საზოგადოების პოლიტიკური, დემოკრატული გარდაქმნისათვის, პირადი თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისთვის.

## მუდმივი პრობლემა

**უკანასკნელი** ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში გაჩნდა დემოკრატიისა და თავისუფლების გავრცელების ტენდენცია. ორგანიზაცია **Freedom House** ყოველწლიურად ატარებს გამოკითხვას, თუ როგორი მდგომარეობაა პოლიტიკურ უფლებებთან და სამოქალაქო თავისუფლებასთან დაკავშირებით; მისი მონაცემებით, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, „თავისუფალ“ ქვეყანათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა:

| | თავისუფალი | ნაწილობრივ თავისუფალი | არათავისუფალი |
|---|---|---|---|
| 1983 | 55 | 7 | 64 |
| 1993 | 75 | 73 | 38 |
| 2003 | 89 | 55 | 48 |
| 2009 | 89 | 62 | 42 |

**თუმცა ამ დადებით ტენდენციას ასუსტებს ის, რომ მრავალი ხალხი ჯერ კიდევ ტირანიის პირობებში ცხოვრობს. 2008 წლისთვის დედამიწაზე მცხოვრებთა 6.8 მილიარდი ადამიანიდან 34% „არათავისუფალ“ *ქვეყანაში ცხოვრობდა, ანუ იქ, სადაც პოლიტიკური უფლება და სამოქალაქო თავისუფლება ძალიან შეზღუდულია. არათავისუფალ კატეგორიაში შესულ 42 ქვეყანას მართავენ სამხედრო დიქტატორები (ბირმა), ტრადიციული რეპრესიული მონარქიები (საუდის არაბეთი და ბუტანი), დომინანტი პოლიტიკური პარტიები (ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა), უცხოელი ოკუპანტები (ტიბეტი და დასავლეთ საჰარა). ზოგიერთი მათგანი** გარდამავალი პერიოდის თანმდევი სირთულეების დაძლევის პროცესშია.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ს.რ.“ №47

დღესდღეობით, მრავალ ქვეყანაში, სწრაფი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს. მართალია, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში „თავისუფალი“ ქვეყნების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ საფრთხე იმისა, რომ ასეთ სწრაფ და ღრმა ცვლილებებს არა თავისუფლება, არამედ დიქტატურის ახალი ფორმები მოჰყვეს, კვლავ რჩება. სამხედრო დაჯგუფებები, პატივმოყვარე ლიდერები, დოგმებისადმი ერთგული პარტიები, საზოგადოებისათვის მუდმივად საკუთარი ნების თავს მოხვევას ცდილობენ. სახელმწიფო გადატრიალებები ახლაც ხდება და ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალშიც მოხდეს. ძირითადი უფლებები (ადამიანისა და პოლიტიკური) მრავალი ხალხებისათვის ადრინდელივით მიუწვდომელი რჩება.

სამწუხაროდ, წარსული ღრმა კვალს ტოვებს. დიქტატურის პრობლემა ისევ რჩება. სხვადასხვა ქვეყნის ხალხი, ათეულობით და ასეულობით წლის განმავლობაში, შიდა და გარე წნეხის ქვეშ ცხოვრობდა. მათგან მოხელეებისა და ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდნენ. უკიდურეს შემთხვევებში, სახელმწიფო ან მმართველი პარტია წინასწარგანზრახვით ასუსტებდა, იქვემდებარებდა ან ცვლიდა სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და ქმნიდა ისეთებს, რომელთა გამოყენება საკუთარი ინტერესისათვის რთული არ იქნებოდა. მათი მეშვეობით ხალხს დააცალკევებდნენ, გათიშული ხალხის ბრბოს კი ერთმანეთის ნდობა, საკუთარი ნებით მოქმედება და თავისუფლების მოპოვება აღარ შეუძლია.




შედეგის წინასწარ განსაზღვრა რთული არ არის - ხალხი სუსტდება, კარგავს თავდაჯერებულობას და წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ადამიანები იმდენად არიან დაშინებულნი, რომ დიქტატურის სიძულვილსა და თავისუფლების წყურვილის შესახებ საუბარს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთანაც კი ვერ ბედავენ. მათ ღია წინააღმდეგობაზე გაფიქრებისაც კი ეშინიათ და თავისუფლებისთვის ბრძოლის აზრს საერთოდ ვერ ხედავენ, უმიზნოდ იტანჯებიან და მომავალს იმედის გარეშე შესცქერიან.

შეიძლება, რომ თანამედროვე დიქტატურის პირობები ადრინდელებზე ბევრად უარესი აღმოჩნდეს. ადრე წინააღმდეგობის გაწევას ზოგიერთი ადამიანი მაინც ცდილობდა. მოკლევადიანი მასობრივი პროტესტები, დემონსტრაციები, საზოგადოების მორალურ სულს გარკვეული დროით ზრდიდნენ. ცალკეული ადამიანები ან მცირე ჯგუფები, რაიმე პრინციპის დასაცავად ან უბრალოდ დაუმორჩილებლობის გამოსახატავად, თითქმის უაზრო საქციელებს სჩადიოდნენ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად ამ ქმედებებს დაეძლიათ შიში და მორჩილების ჩვევა, ანუ შეექმნათ დიქტატურის დაშლის წინაპირობა – არ შეეძლოთ. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამგვარ მოქ-

## თავისუფლება ძალადობის მეშვეობით?

რა უნდა ვქნათ ისეთ ვითარებაში, როდესაც მეტ-ნაკლებად აშკარა შესაძლებლობები უშედეგოა – დიქტატორი კონსტიტუციური და საკანონდებლო ბარიერების, სასამართლო გადაწყვეტილების, საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას ახდენს. ამიტომაც გასაგებია, რომ სისასტიკესთან, წამებასთან და მკვლელობასთან შეჯახებისას ადამიანები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ დიქტატურის დამხობა მხოლოდ ძალადობის გზითაა შესაძლებელი. ხანდახან განრისხებული მსხვერპლნი ერთიანდებოდნენ, რათა ებრძოლათ დიქტატურის წინააღმდეგ ძალადობისა და ომის ყველა საშუალებით, თუმცა მათ წარმატების შანსი არ ჰქონდათ. ისინი უშიშრად, თავდაუზოგავად და მამაურად იბრძოდნენ და ზოგჯერ მნიშვნელოვან შედეგსაც აღწევდნენ, მაგრამ თავისუფლებას იშვიათად მოიპოვებდნენ. აჯანყებას სასტიკად ახშობდნენ და ადამიანები კიდევ უფრო უძლურნი ხდებოდნენ.

როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლა, ერთი რამ ნათელია: თავისუფლებისათვის მებრძოლნი ბრძოლის იმ სახეობას ირჩევენ, სადაც მჩაგვრელს თითქმის ყოველთვის უპირატესობა აქვს. დიქტატორი ძალის გამოსაყენებლად მშვენივრადაა მომზადებული. რაოდენ დიდხანსაც არ უნდა მოქმედებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლნი, საბოლოოდ სასტიკი რეალობა იმარჯვებს. როგორც წესი, დიქტატორს გაცილებით მეტი იარაღი, ტრანსპორტი და ჯარი გააჩნია. თავისუფლებისმოყვარულთა სიმამაცის მიუხედავად, მათ ამის საპირწონის შექმნა თითქმის არასდროს შეუძლიათ.

თუ შეიარაღებული აჯანყება არარეალურია, ზოგიერთი დისიდენტი პარტიზანულ ბრძოლას ემხრობა. თუმცა ამას ჩაგრული მოსახლეობისათვის სარგებელი იშვიათად მოაქვს და დემოკრატიულ ცვლილებას არასდროს (ან თითქმის არასდროს) უზრუნველყოფს. პარტიზანული ბრძოლის არჩევა პრობლემის გადაწყვეტას არ ნიშნავს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ დროს ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება. მიუხედავად შესაბამისი თეორიის, სტრატეგიული ანალიზის და ზოგჯერ – საერთაშორისო მხარდაჭერისა, იგი გამარჯვებას არ უზრუნველყოფს. პარტიზანული ბრძოლა საკმაოდ ხანგძლივია, მმართველი რეჟიმი კი ამ დროის განმავლობაში სამოქალაქო მოსახლეობაზე ზეწოლას აძლიერებდა. ანუ, ბრძოლა უდიდესი წვალებასა და სოციალური დაძაბულობას იწვევს.

გარდა ამისა, გამარჯვების შემთხვევაშიც კი, პარტიზანულ ბრძოლას ხშირად ხანგძლივი ნეგატიური სტრუქტურული შედეგები მოჰქონდა. რეჟიმი, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ, უფრო და უფრო სასტიკი ხდებოდა. თუ მას საბოლოოდ დაამხობდნენ, ახალი რეჟიმი უკეთესი არ აღმოჩნდებოდა. შეიარაღებული ძალების რიცხვი და შესაბამისად გავლენა იზრდებოდა, ხოლო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის და მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ჯგუფები და ინსტიტუტები უკიდურესად სუსტდებოდნენ. დიქტატურის მოწინააღმდეგეებმა საბრძოლველად სხვა გზა უნდა მოძებნონ.

დასასრული იქნება

* **Ibid**. 2019 წლის თებერვალში **Freedom House**-ის გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოდგენილი 210 ქვეყნის შეფასების შედეგად მიღებული ანალოგიური მონაცემების შემდეგი:

| | თავისუფალი | ნაწილობრივ თავისუფალი | არათავისუფალი |
|---|---|---|---|
| 2018 | 88 | 65 | 57 |

# ამერიკელი და რუსი დიპლომატების რეპლიკები პროპაგანდის ნაწილი და ომში ვაჭრობის პროცესია



**„დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიულ ომს გმობენ და კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ უკრაინის მიმართ მათი მხარდაჭერა ურყევია. მათი მტკიცებით, გააძლიერებენ უკრაინის საჰაერო თავდაცვას, რათა ამ გზით გადაარჩინონ ადამიანების სიცოცხლე და დაიცვან კრიტიკული ინფრასტრუქტურა. „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები პირობას დებენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ გაყინული რუსული აქტივების უკრაინის მხარდასაჭერად გამოსაყენებლად.**

ამასთან საინტერესოა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის, **უილიამ ბერნსის** განცხადება, რომ თუ ამერიკელი კანონმდებლები უკრაინის დახმარებას ახლავე არ დაამტკიცებენ, ქვეყანამ, შესაძლოა, 2024 წლის ბოლომდე ომი წააგოს. ბერნსმა კანონმდებლებს მოუწოდა, მიიღონ დამატებითი კანონმდებლობა, რომელიც უკრაინისთვის მილიარდობით აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

**„იმ სტიმულით, რომელიც მოჰყვება სამხედრო დახმარებას, როგორც პრაქტიკულად, ისე ფსიქოლოგიურად, უკრაინელები სრულიად შეძლებენ 2024 წლის განმავლობაში გაუძლონ და ჩამოშალონ პუტინის ამპარტავანი შეხედულება, რომ დრო მის მხარესაა“,** – აღნიშნა **უილიამ ბერნსმა.**

როგორც ბერნსი ამბობს, უკრაინის მხარდაჭერა ახლა უფრო მეტია, ვიდრე რუსეთის წინააღმდეგ ომი. მისი თქმით, ეს ასევე ეხება **სიძინპინს** ჩინეთში, მის ამბიციებსა და ამერიკის მოკავშირეებსა და პარტნიორებს ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში. ბერნსი ამბობს, რომ ეს ნამდვილად არის საკითხი იმის შესახებ, ესმით თუ არა მოწინააღმდეგეებს ამერიკის სანდოობა და სიმტკიცე.

თავის მხრივ აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, **მაიკ პენსი** აცხადებს, რომ თუ **ვლადიმერ პუტინი** დაამარცხებს უკრაინას, ამერიკულ ჯარებს სხვა გზა არ ექნებათ, გარდა იმისა, რომ ებრძოლონ რუს დამპყრობლებს ევროპაში. მისი თქმით, იზოლაციონიზმი არასოდეს არის პასუხი ტირანული რეჟიმებისთვის, რომლებსაც ექსპანსიონისტური განზრახვები აქვთ.

**„მივმართავ კონგრესს, დაამტკიცოს უკრაინის სამხედრო დახმარების დამატებითი დაფინანსება, რომელიც თვეები გაჭიანურდა. პუტინი თუ დაამარცხებს უკრაინას, ეჭვი არ მეპარება, დადგება დრო, რომ ის გადაკვეთს საზღვარს და ჩვენს ფორმიან მამაკაცებსა და ქალებს ბრძოლა მოუწევთ. დიდი დრო არ გავა, საზღვრის გადაკვეთიდან და ჩვენს კაცებს მოუწევთ ბრძოლა ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად“,** – განაცხადა **მაიკ პენსმა.**

რუსეთი კი სამხედრო ოპერაციის გაგრძელებას აანონსებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი სრულიად დარწმუნებულია, რომ სპეციალური სამხედრო ოპერაციის გაგრძელება აუცილებელია. რუსი დიპლომატი აცხადებს, რომ რუსეთი გამოხატავს მზადყოფნას მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან დიალოგს აზრი არ აქვს, მათ შორის იმიტომ, რომ მის ბატონებს ჰეგემონიის დაკარგვის ეშინიათ.

**„უკრაინასთან ახალი მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში, რუსეთი მოლაპარაკების პროცესში საბრძოლო მოქმედებებს არ შეაჩერებს. ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ სტამბოლის ისტორიისგან განსხვავებით, მოლაპარაკებების დროს საბრძოლო მოქმედებებში არანაირ პაუზას არ გავაკეთებთ“,** – აღნიშნა **სერგეი ლავროვმა.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** თვლის, რომ ამერიკელი მაღალჩინოსნებისა და მათ შორის რუსი დიპლომატის განცხადებები ჩვეულებრივი პროპაგანდის ნაწილი და ვაჭრობის პროცესია, რომელიც გრძელდება. მისი თქმით, ვაჭრობა და საომარი მოქმედებები მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში. როდესაც რუსეთი აკეთებს განცხადებას, რომ ის გააგრძელებს ამ ოპერაციას და ბოლომდე მიიყვანს, ეს არის დასასრული იმ პროცესებისა, რაც ვითარდება რუსეთ-უკრაინის ფრონტის ხაზზე.

**„ვფიქრობ, რომ ვექტორალური ცვლილებები იქნება. ჩვენ გადავდივართ ახალ ინფორმაციულ ფაზაზე, ეს არის მიზანმიმართულად დაწყებული პროცესი და გადაფარვა იმისა, რაც რეალურად ამ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, რაშიც ჩართული იყო მთელი მსოფლიო და ახლა გარკვეული საზღვრების გადაწევა რომ ასე გაგრძელდება, ამაში სიახლე არაფერი არ არის. ეს არის უცვლელი და მუდმივი პროცესი, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო არენაზე იბრძვიან საერთაშორისო დომინაციისთვის. ამიტომ, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ეს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგი არ იქნება. უბრალოდ, ეს იქნება ჩვეულებრივი პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს იმ სახელმწიფოს, რომელიც გაიმარჯვებს უკრაინაში“,** – აღნიშნა **დავით კუხალაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**



## ვიქტორ ორბანი: ამჟამინდელი ომი ჩვენი ომი არ არის, ამიტომ რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთი არ შევა!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ბრიუსელში მემარჯვენე კონსერვატორების ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ევროპელი ლიდერები „ომის ლოგიკის“ გამოყენებაში დაადანაშაულა.**

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მისი მმართველობის გარეშე უნგრეთი უკვე ომში ბოლომდე იქნებოდა ჩაფლული, მაშინ როცა „ომის მომხრე მთავრობა, ბრიუსელის ბიუროკრატები და ბრიუსელის ბიუროკრატების ქსელი მილიონობით დოლარს უგზავნის ომის მომხრე მემარცხენეებს ბუდაპეშტში“.

**„ომის მხარდამჭერი მთავრობები, ბიუროკრატები ბრიუსელში, ჯორჯ სოროსის ქსელი მილიონობით დოლარს უგზავნის ბუდაპეშტში ომის მომხრე მემარცხენეებს, რომლებიც არც მალავენ იმ ფაქტს, რომ მათ სურთ მთავრობის შეცვლა მათი კლიენტებისთვის. მათ სურთ ომის მომხრე მთავრობა, მშვიდობის მომხრე მთავრობის ნაცვლად, მარიონეტული მთავრობა, რომელსაც ბრიუსელი და ვაშინგტონი აკონტროლებს, ნაცვლად ეროვნული მთავრობისა. ასე რომ, მეგობრებო, მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა ვიბრძოლოთ. უნდა დავიცვათ უნგრელი ხალხის მშვიდობა და უსაფრთხოება. უნდა დავიცვათ ეკონომიკური მიღწევები, ჩვენი ოჯახები და განსაკუთრებით ჩვენი შვილები. ბრიუსელისთვის გასაგებად: არა მიგრაცია, არც გენდერი, არც ომი. ასე წერია საარჩევნო მანიფესტში“,** – განაცხადა **ვიქტორ ორბანმა.**

როგორც მედია წერს, ორბანი უნგრეთს უწინასწარმეტყველებს „კიდევ მეტ უსიამოვნებას“, რადგან ბრიუსელში დღეს „არსებობს ომის მომხრე უმრავლესობა“, ევროპაში „საომარი განწყობა ჭარბობს“ და პოლიტიკაში „დომინირებს ომის ლოგიკა“.

**„ჩვენ ერთი ნაბიჯი გვაშორებს დასავლეთის ჯარების გაგზავნისგან, ეს არის სამხედრო ქარიშხალი, ბრიუსელი ცეცხლთან თამაშობს, ღმერთის გამოცდაა, რასაც ბრიუსელი აკეთებს“,** – განაცხადა **ორბანმა.** ვიქტორ ორბანის თქმით, უნგრელებმა იციან, რა არის ომი და ამჟამინდელი ომი „მათი ომი“ არ არის. ამიტომ რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთი არ შევა არც ერთი მხარის გვერდით.

## აშშ ისრაელისთვის 26.4 მილიარდს გამოყოფს

**აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ ისრაელისთვის 26,4 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების პაკეტის გამოყოფის კანონპროექტს დაუჭირა მხარი.**

კანონპროექტი ჰუმანიტარულ და სამხედრო დახმარებებს, მათ შორის, საჰაერო თავდაცვის სისტემების შევსებას ითვალისწინებს. კონკრეტულად, დახმარების პაკეტიდან ოთხი მილიარდი სარაკეტო თავდაცვის სისტემებისთვის იქნება გამოყოფილი, ხოლო 1,2 მილიარდი დოლარი Iron Beam-ის ტიპის თავდაცვის სისტემისთვის. ამასთან, დახმარების პაკეტი გულისხმობს 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობის მოწინავე იარაღის სისტემებისა და სხვა ნივთების შესყიდვას საგარეო სამხედრო დაფინანსების პროგრამის მეშვეობით.



პაკეტიდან 9.2 მილიარდი დოლარი გამოყოფილია ჰუმანიტარული დახმარებისთვის, კერძოდ, საკვებისთვის, თავშესაფრისა და ძირითადი სერვისებისთვის, რომელიც მოსახლეობისთვის გამოყოფილი იქნება კრიზისულ დროს.

## ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს

**ისრაელში ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით მრავალათასიანი საპროტესტო აქცია გაიმართა. მოქალაქეები პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს გადადგომას და 133 მძევალის გათავისუფლებას მოითხოვენ, რომლებიც 7 ოქტომბრის თავდასხმის შემდეგ „ჰამასის“ ტყვეობაში არიან.**

საპროტესტო აქციები გაიმართა როგორც თელ ავივში, ასევე იერუსალიმში, ნეთანიაჰუს საცხოვრებელ სახლთან.



## ზელენსკი მოკავშირეებს ორმაგ სტანდარტში ადანაშაულებს

**ის, რომ მოკავშირე ქვეყნებმა ისრაელის ცა დაიცვეს და უკრაინის არა, ორმაგ სტანდარტებზე მეტყველებს,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ბრაზილიურ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, ისრაელი ნატოს წევრი ქვეყანა არ არის, თუმცა ამის მიუხედავად, პარტნიორმა ქვეყნებმა ის ირანის თავდასხმისგან დაიცვეს. უკრაინას კი რუსეთის შეჭრის დღიდან ეუბნებიან ცის ჩაკეტვაზე უარს იმ მოტივით, რომ ეს რუსეთთან ომში ჩართვის რისკს გაზრდის.

## ასი ათასზე მეტი დამკვირვებელი და იურისტი — საარჩევნო უბნებზე

**დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიაში განაცხადეს, რომ 100 ათასზე მეტი იურისტისა და დამკვირვებლის განთავსებას გეგმავენ საარჩევნო უბნებზე.**

ინიციატივა მოიცავს საარჩევნო დამკვირვებლებისა და მუშაკების, ასევე იურისტების ტრენინგს. ტრამპმა გააფრთხილა მხარდამჭერები, რომ „დემოკრატებმა“ შეიძლება სცადონ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბება.




ტრამპმა კერძო საუბრებში განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი არ იყო სათანადოდ მომზადებული 2020 წლის არჩევნების შემდეგ სამართლებრივი ბრძოლისთვის. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 5 ნოემბერს გაიმართება.

◎ ღირსეულთა ღირსეული თავკაცი



# ვილი სანიოლი: ეს წარმატება ვაისის დამსახურებაც არის...

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ვილი სანიოლის ინტერვიუ გამოქვეყნდა.**

ფრანგი სპეციალისტი მადლობას უხდის ვლადიმირ ვაისს, პოზიტიური მოლოდინი აქვს ევრო 2204-სგან და ფეხბურთელებისგან 101%-ით დახარჯვას ითხოვს.

„ვინარჩუნებთ კარგ განწყობას და მხიარულ გარემოს, თუმცა ვიცით, რომ ტურნირი საკმაოდ ახლოსაა და მზადება უნდა დავიწყოთ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო, ახლა კი შემდეგი ნაბიჯის გადადგმა გვსურს, რაც შრომის და კარგი მომზადების გარეშე შეუძლებელი იქნება. როგორც ფეხბურთელს, მითამაშია ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ მწვრთნელის როლში ეს ჩემთვისაც ახალი გამოცდილება იქნება. ყველაფერს ვაკეთებ და ვცდილობ, პასუხისმგებლობით მივუდგე საქმეს.

ძალიან ვამაყობ ამ მიღწევით, ყველა ადამიანს სიამოვნებს ქება, თუმცა მე ამ საქმის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილი ვარ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი, ეს სხვამ გადაწყვიტოს. პირველ რიგში უნდა მივულოცო ფედერაციას ბოლო 10 წლის განმავლობაში გაწეული შესანიშნავი სამუშაოსთვის. მიხარია, რომ მეც ვიყავი ამ პროცესის ნაწილი 2-3 წლის განმავლობაში. ფედერაციამ რთული და გრძელი გზა გაიარა, ახლა კი სასიამოვნო მომენტია, რადგან ვხედავთ ამ შრომის შედეგს.

ხალხი დიდი ხანი ელოდა ამ მომენტს. ამდენი ხნის განმავლობაში დაგროვებული ემოციების ამოფრქვევა ბუნებრივი და ფანტასტიკური მოვლენა იყო. რა თქმა უნდა, ამ ადამიანების სახეების და სიხარულის ცრემლების კადრები ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება.

საქართველოს ნაკრები წლების წინათ D ლიგაში გამოდიოდა, ახლა კი B ლიგაში ვართ. ვფიქრობ, რომ ერთა ლიგამ ჩვენი ფეხბურთელები დიდი მიღწევების შესაძლებლობებში დაარწმუნა, დააჯერა მათ, რომ რაღაც განსაკუთრებულის მიღწევა შეეძლოთ, მაგრამ ამ მიზნების მისაღწევად ბევრი შრომა იყო საჭირო, ფეხბურთელები კი ამისთვის მზად იყვნენ და როგორც ნაკრებში, ისე თავიანთ კლუბებში მუშაობდნენ. ვფიქრობ, ერთა ლიგის ბოლო ციკლი ჩვენთვის დიდი საქმის დასაწყისი იყო.

გადაწყვეტილებების მიღება ზოგჯერ ინსტინქტურად ხდება. მას შემდეგ, რაც პირველად ველაპარაკე სფფ-ის წარმომადგენლებს, ვიცოდი, რომ იმ ეტაპზე სწორედ აქ მსურდა ყოფნა. აქ იყო რაღაცის აშენების და წარმატების მიღწევის პერსპექტივა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აქ მოსვლა.

**დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ვლადიმირ ვაისს. ის, რაც ცოტა ხნის წინათ მოხდა, მისი წარმატებაც არის, რადგან მან ბევრი იმუშავა გუნდის სტრუქტურაზე და არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოიწვია ნაკრებში. ფეხბურთში არაფერი შენდება ერთ დღეში და არც ექვს თვეში, ეს ხანგრძლივი პროცესია და ვლადიმირ ვაისი ამ წარმატების მნიშვნელოვანი ნაწილია.**

მარტივია ადამიანს მოსთხოვო, რომ 100%-ით დაიხარჯოს, მე კი ფეხბურთელებს ვუხსნი, თუ როგორ უნდა გაიღონ ყველაფერი მოედანზე, რა უნდა აკეთონ ყოველდღე იმისთვის, რომ ეს მოახერხონ, რადგან ბევრი ფეხბურთელი მზად იყო ყველაფერი გაეღო, მაგრამ არ იცოდა, როგორ. ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩვენ მათთან ინდივიდუალურად ვიმუშავეთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, რომლებსაც მეტად სჭირდებოდათ რჩევა. ამან შედეგი მოიტანა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში ნაკლები უნდა ვიშრომოთ. პირიქით, წინ კიდევ უფრო რთული დავალება გველოდება და მეტი მუშაობა მოგვიწევს.

ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის მიუღებელი იქნება იმაზე ნაკლები, რაც პლეი ოფში ვაჩვენეთ. ფეხბურთელებმა ეს იციან და ისიც ესმით, რომ მე ამ ყველაფერს მკაცრად მივუდგები. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს მიერ მომზადებულ სიურპრიზს რაც შეეხება, ამაზე ლაპარაკი ადრეა, ასეთ თემებზე საუბარი ფეხბურთის ცოდნაზე არ მიუთითებს, რადგან ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. თავდაუზოგავადაც რომ მოემზადო, **მატჩის დღეს შეიძლება მეტოქემ გაჯობოს, შეიძლება მსაჯმა შეცდომა დაუშვას, შეიძლება 5 წუთის შემდეგ ფეხბურთელმა წითელი ბარათი მიიღოს, რაც თამაშს შეცვლის, ასე რომ, რთულია შედეგის პროგნოზირება. უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რისი კონტროლიც შეგვიძლია, ფეხბურთელების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, დანარჩენს კი მოედანზე ვნახავთ.** წინ სამი თამაში გველის და ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სიურპრიზებზე საუბარი. თუ აქამდე 100%-ით ვიხარჯებოდით, ევროპის ჩემპიონატზე 101% იქნება საჭირო. საკმაოდ მშვიდად და თავდაჯერებული ველოდები ამ მატჩებს და ვფიქრობ, საქართველო კარგად ითამაშებს ჯგუფურ ეტაპზე. ვნახოთ. ფეხბურთი ზოგჯერ კარგ მოვლენებს გვიმზადებს.

ძალიან ვამაყობ და მიხარია გერმანიაში საქართველოს ნაკრებთან ერთად ყოფნა, რადგან გერმანია არის ქვეყანა, რომელიც მიყვარს, იქ ბევრი წარმატებული წელი მაქვს გატარებული. ფანტასტიკური ხალხი ცხოვრობს, რომლებიც მიყვარს, შესაბამისად, დიდი სიხარულით და სიამაყით ველოდები ჩემპიონატს", – თქვა სანიოლმა.

◎ ლეგიონერები

# ნახვამდის, ევროპა!..

**იმედი** გვქონდა, რომ ვირტუსი ევროლიგის პლეი-ოფში გააღწევდა, მაგრამ იტალიური კლუბის ოცნებას ასრულება არ ეწერა – ტურნირი უმისოდ გაგრძელდება.

**თორნიკე შენგელიას** ქომაგებს ოპტიმიზმის საფუძველს რეგულარული სეზონის პირველ ნახევარში გუნდის ფეერიული თამაში და თვით ბოლონიელთა ქართველი ლიდერის სტაბილურობა გვაძლევდა, თუმცა ტრავმების ეპიდემიამ ლუკა ბანკის შეგირდთა შესაძლებლობები ისე შეზღუდა, რომ ისინი კინაღამ პლეი-ინის მიღმა დარჩნენ.

მართალია, თანდათან ყველა დაუბრუნდა სარბიელს, მაგრამ ეს მხოლოდ სტამბოლში მრისხანე ეფესთან მძაფრი ბრძოლის მოსაგებად აღმოჩნდა საკმარისი, მეოთხედფინალის მისადგომებთან კი თავი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსების შეზღუდულობამ იჩინა.

**ბასკონია – ვირტუსი 89:77**

შეგახსენებთ, რომ „ჯვაროსანთა" კაპიტნის ძველ პარტნიორებთან აპენინელები შინ ერთი კვირის წინათ პირველი რაუნდის ფინიშზე დამარცხდნენ. ამჯერად სტუმრები ღირსეულად გამოიყურებოდნენ და შესვენებაზე თანაბარი ანგარიშით გავიდნენ – 41:41.

სამწუხაროდ, მესამე პერიოდი ბასკებმა ჰოვარდის ძალისხმევით (28 ქულა), ისევე როგორც წინა მატჩი (მაშინ – 32 ქულა) გადამწყვეტი ჩხვლეტითა (31:16) და მეტოქის დაშამათებით დაასრულეს.

აღსანიშნავია, რომ შენგელია თანაგუნდელთაგან ამჯერადაც საუკეთესო იყო – 16 ქულა, 7 მოხსნა, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვეღარ მოიყვანა. ასე რომ, დარჩა სერია – ა.

სამწუხაროდ, არანაკლებ გაირთულეს საევროპე პერსპექტივები ტოპ-ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელმა ლეგიონერებმაც.

**იტალია. სერია „ა". ემპოლი – ნაპოლი 1:0**. ჩემპიონთა ლიგის რეფორმირებული ფორმატით შესაძლებელია იტალიას 6 ადგილიც კი ერგოს უახლოეს ტურნირში, მაგრამ კამპანიელები მორიგი კრახის შემდეგ ცხრილის შუაგულამდე დაეშვნენ და კონფერენს ლიგაზე გასვლაც კი სათუო გაუხდათ. რაც შეეხება **კვარას**, მან უსუსტესი შეხვედრა ჩაატარა და 70-ე წუთზე შეცვალეს.

**ესპანეთი. ლა ლიგა. ვალენსია – ბეტისი 1:2.** წარმატებული სერია უშუალო კონკურენტთან მატჩში ღამურებმაც შეწყვიტეს და მასპინძლებს ამჯერად ვერც **გიორგი მამარდაშვილმა** უშველა.

◎ მძლეთამძლე



# სტამბოლიდან – ჩემპიონის ქამრით

**თანამედროვე** მკლავჭიდის ლეგენდარული ჩემპიონები ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდნენ. East vs West-ის პრესტიჟულ ღონისძიებაზე, რომელსაც სტამბოლმა უმასპინძლა, განსაკუთრებულ ინტერესს, რა თქმა უნდა, სუპერმძიმე წონა იწვევდა.

ქართველ „ჰალკად" წოდებული **ლევან საგინაშვილი** კანადელ ჩემპიონს, დევონ ლარატს კარიერაში მეორედ დაუპირისპირდა და კვლავ მარტივად დაამარცხა – 4:0.

საგინაშვილმა ლარატს ხელი ოთხჯერ დაადებინა და კანადელმა გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პირველი ორთაბრძოლის დროს მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ უძლეველი ქართველი მკლავჭიდელი ტრავმის გამო ერთი წლის განმავლობაში ვერ ასპარეზობდა, თუმცა, ლევან საგინაშვილი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტრიუმფით დაბრუნდა და დევონ ლარატს ჩემპიონის ქამარი წაართვა.

East vs West-ის ტურნირი ქართველ მკლავჭიდელთა სრული დომინაციით წარიმართა – ლევან საგინაშვილის გარდა ჩემპიონები **ირაკლი ზირაქიშვილი** და **დავით სამუშია** გახდნენ.

◎ ...ძუ იყოს, თუნდა ხვადია

# პირველი ქართველი ლიდერი ქალი რაგბიში

**საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ნატალია კურტანიძე პირველი ქართველი ქალია, რომელიც 2023 წელს მსოფლიო რაგბისა და Capgemini-ს ქალ ლიდერთა პროგრამის სტიპენდიანტი გახდა.**

**მან** საკუთარი გამოცდილება მსოფლიო რაგბის ოფიციალურ ვებ-გვერდს გაუზიარა:

**„ნატალია კურტანიძე ორი ათეული წელია საქართველოს რაგბის კავშირში მოღვაწეობს და მომსწრეა ყველა იმ მოვლენის, რამაც რაგბის ქართველ ერში განსაკუთრებული ადგილი დაუმკვიდრა.**

**მან მუშაობა 2000-იან წლებში არასამთავრობო ორგანიზაციაში დაიწყო, რომელიც განათლებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას ეწეოდა. ამჟამად რაგბის კავშირის საერთაშორისო ურთიერთობათა მენეჯერის მოადგილე ცდილობს, რომ ქალთა რაგბის მიმართულებით ანალოგიური მხარდაჭერა მთელი ევროპის მასშტაბით მოიპოვოს.**

**ის იმედოვნებს, რონ მსოფლიო რაგბის პროგრამის – Capgemini-ის მეშვეობით, სხვა ქართველ ქალებსაც დაანახოს, რომ მათაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ რაგბის განვითარებაში".**

კითხვაზე, თუ რამ გადააწყვეტინა პროგრამაში ჩართვა, ის გვპასუხობს:

**„ჩემი უმთავრესი მოტივაცია იყო მეჩვენებინა, რომ საქართველოშიც ცხოვრობენ ქალბატონები, რომლებსაც ქვეყანაში რაგბის განვითარება უნდათ".**

კურტანიძე პირველი ქართველი ქალია, რომელიც ქალი ლიდერების, Capgemini-ის პროგრამაში მისი დაარსების დღიდან, 2018 წლიდანაა ჩართული, თუმცა ის დარწმუნებულია, რომ საქართველოში კიდევ ბევრ ქალს შეუძლია მის გზას გაჰყვეს.



**„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ჩემზე მეტად მოტივირებული, ჩემზე უფრო ძლიერი ქალბატონები მრავლად არიან".**

საქართველოს კაცთა ნაკრები მსოფლიოს რეიტინგში მე-13 ადგილს იკავებს და ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო თასზე, თუმცა 15-ქალას ნაკრები ქალთა რეიტინგში საერთოდ არ ფიგურირებს. სამაგიეროდ საქართველოს ჰყავს 7-ქალა ნაკრები, რომელმაც რაგბი ევროპის მეორე დივიზიონში, 12 გუნდს შორის ორი ეტაპის ჯამში მე-4 ადგილი დაიკავა. ამის ფონზე კურტანიძე დარწმუნებულია, რომ ქართული ქალთა რაგბის ნათელი მომავალი შორს აღარაა.

**„რაგბი თავისუფლების გზაა. ფესტივალებსა და თამაშებზე ვნახულობ ქალებსა და გოგონებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ თამაშობენ, რომ სურთ თავისუფლები იყვნენ. რაგბი ფიზიკურ ძალასთან ასოცირდება და როდესაც კაცების თამაშს უყურებ, ის ქალებისთვის წარმოუდგენლად გეჩვენება.**

**როდესაც ქალები რაგბის თამაშობენ, ისინი საზოგადოების აზრის წინააღმდეგ მიდიან. ვიმედოვნებ, რომ ჩემს ქვეყანაში რაგბი მალე გახდება ქალბატონების საყვარელი სპორტის სახეობა".**

# სიმართლითა და ღირსებით შემკული



# ყველას ჩვენი რაულ ჯახია გვყავს!

**გულწრფელად ვულოცავთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანს საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ მისთვის ჩვეულ შემართებას შემდგომ წლებშიც, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ოჯახთან და შთამომავლებთან ერთად.**

**რაულ ჯახია** 1944 წლის 22 აპრილს დაიბადა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში. ნიჭიერ ახალგაზრდას კარგად უსწავლია – საშუალო სკოლა – ოქროს მედალზე, შემდგომ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი – სოხუმში და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია მოსკოვში წარჩინებით დაუმთავრებია და 50-წლიანი მუშაობის ნაყოფიერი გზა გაუვლია ფიზიკური შრომიდან დაწყებული, პარტიულ-პოლიტიკური, ჟურნალისტური, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოებით გაგრძელებული:

კომკავშირული და პარტიული ძირეული ორგანიზაციების მდივანი, რაიონული გაზეთის რედაქტორი, წლების განმავლობაში ხობისა და წალენჯიხის რაიონებში საბჭოთა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი, სამეურნეო ორგანიზაციებში, რესპუბლიკურ სტრუქტურებში მოღვაწეობა და ბოლოს, სახელისა და ღირსების შეურყვნელად პენსიაზე გასვლა.

...იშრომა, ყველგან სახელოვნად იღვაწა, ადგილობრივ და ქვეყნის უმაღლეს ორგანოებშიც იყო არჩეული, სხვადასხვა ჯილდოებიც და აღიარებაც დაიმსახურა...

მოკლედ და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაუღალავი, შემართებული შრომით მან ყველგან დაკისრებული მოვალეობაც და საკუთარი თავიც ასახელა.

მას არც პენსიაზე გასვლის შემდეგ გამოუჩენია პასიური პოზიცია და მწერლობაშიც გაავლო თავისი მოკრძალებული კვალი – ბევრი ჩვენგანის წიგნების თაროს ამშვენებს მისი რამდენიმე წიგნი.

მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონეს არასდროს ჩვეოდა საქმის მოსაჩვენებლად, ზერელედ კეთება და ასეა დღესაც, თუნდაც ადამიანებთან უშუალო ურთიერთობაში. პროფესიონალი პარტიულ და სამეურნეო სფეროში მუდამ მშრომელთა ინტერესების დამცველი, ცხოვრებისეულ პრობლემებთან მედგრად მებრძოლი, უაღრესად პრინციპული, სიტყვის და საქმის კაცი, მტკიცედ მომთხოვნი სხვებისა და უპირველესად საკუთარი თავისადმი: ურეკლამოდ, უხმაუროდ თესდა სიკეთეს და დიდად სიამოვნებდა ეს.

მისთვის დამახასიათებელია სამართლიანი მოთხოვნაც და მიტევებაც. მის სიტყვასა და დაპირებას უცილობლად შესრულება მოყვება. ადამიანებში კარგს ეძებს უმეტესად. და ყველაფერში იყო გამოკვეთილი ლიდერი და საიმედო თანამებრძოლი.

განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს მისი ყურადღება და გულიანი პატივისცემა გარშემო მყოფებისადმი, ყოფილი კოლეგებისა და თანამებრძოლების, ზოგადად წარსულისადმი, გამოკვეთილად კი ამქვეყნიდან წასულებისადმი – პერიოდულად მოინახულებს ხოლმე მათ საფლავებს, გულწრფელად მოიხსენიებს მათთან ურთიერთობას, ღვაწლსა და ამაგს.

რაულ ჯახია საკმაოდ დაფასებულიც არის და აღიარებულიც, მაგრამ მისი უმაღლესი ჯილდო მაინც ხალხის სიყვარული და პატივისცემაა, მეგობრებს, ახლობლებს და თანამოაზრეებს დღესაც სჯერათ მისი! განსაკუთრებით სასიამოვნოა მისი იუბილე ჩვენთვის, მეგობრებისთვის, ვისაც მასთან ურთიერთობა გვქონია. ის ჩვენი გულითადი და თბილი დამოკიდებულების განუყოფელი ნაწილია. მოკლედ რომ გამოვხატოთ, თავისი ბუნებითა და ხასიათით, დამსახურებითა და ყურადღებით ყველას ჩვენი რაული გვყავს.

კიდევ დიდხანს ჯანმრთელად ცხოვრებას ვუსურვებთ ჩვენს მეგობარს და პატივსაცემ პიროვნებას!

**მეგობრების ჯგუფი**

# მარიამ ღვთისმშობლის დაუჯდომელი „აკათისტო“



**10 აპრილს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიამ მარიამ ღვთისმშობლის დაუჯდომელი – აკათისტო აღნიშნა, რომლის კონდაკი ასე ჟღერს: „ზესთანმბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენს მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა (აღვწერთ) შევწირავთ ღვთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქუს ძლიერებაი უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმანთავისუფლეენ ჩვენ, რაითა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო, გიხაროდენ, სძალო უსძლოო!“**

ცნობილია, რომ ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების საგალობლები ჩვეულებისამებრ ფეხზე დგომით სრულდება...

საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ორიგინალურ საგალობელთაგან, ასეთია, მაგალითად, სვეტიცხოვლის დაუჯდომელი, ღვთისმშობლის აკათისტო პირველად თარგმნა უცნობმა მთარგმნელმა მეთერთმეტე საუკუნეში, ეს საგალობელი ცნობილმა ბიზანტიელმა ჰიმნოგრაფმა რომანოზ მგალობელმა მეექვსე საუკუნეში დაწერა

21 აპრილს დიდმარხვის მეხუთე კვირიაკეს აღინიშნა მარიამ მეგვიპტელის ხსენება. წმინდანი 522 წელს უდაბნოში გარდაიცვალა. ბერმა ზოსიმემ იქვე დაკრძალა მარიამის ნეშტი, რაშიც თურმე მას ლომიც დახმარებია.

**გიული ლიპარტია**

# პატარა ვარსკვლავების საჩუქარი ცნობილ ქორეოგრაფს

**15 აპრილს** რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა ცნობილი ქორეოგრაფის გივი სიხარულიძის მხარდაჭერით **თამაზ ჟორჟოლიანის** დაბადებიდან 77 და შემოქმედებით მოღვაწეობის 60 წლის საიუბილეო საღამოს უმასპინძლა. ქორეოგრაფის შემოქმედებით მოღვაწეობაზე ისაუბრა **გივი სიხარულიძემ**, იუბილარს მიესალმნენ რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი **რეზო ჭანიშვილი** და პოეტი **ერეკლე საღლიანი.** იუბილარს გადასცეს ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარის **ზაზა მჟავანაძის** ხელმოწერით დიპლომი და ბრწყინვალების ორდენი.

პატარა ვარსკვლავებმა ქუთაისიდან, გურიიდან, მცხეთიდან, ყაზბეგიდან, დედოფლისწყაროდან, რუსთავიდან, სუხიშვილების და ერისიონის სტუდიიდან ცეცხლი დაანთეს სცენაზე. ქორეოგრაფიული ყველა ანსამბლის პატარა მონაწილენი დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა **ზაზა ალექსიძე,** რომელმაც დამსწრე საზოგადოებას თითოეული ქორეოგრაფიული ანსამბლის შემოქმედებითი გზა გააცნო და მადლობა გადაუხადა მშობლებს ასეთი საუკეთესო თაობის აღზრდისთვის.

**ნანა ჭიჭინაძე**

# ბრიგადის გენერალი სტუდენტებთან

**პროექტ „ჩვენი ჯარის“ ფარგლებში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად სტუმრობენ.**



უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინფორმაციულ შეხვედრებში, სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი პირებიც მონაწილეობენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამჯერად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე შეხვდა. მან საქართველოს თავდაცვის ძალებში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე, უსაფრთხოების გარემოსა და არსებულ გამოწვევებზე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, ნატოსთან თავსებადობის გაზრდის პროცესში თანამშრომლობის პრაქტიკულ მექანიზმებზე ისაუბრა. თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ სტუდენტებთან საუბრისას, თავდაცვის ძალების შესახებ ცნობიერების ამაღლების, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაძლიერების, განათლების მნიშვნელობისა და ქვეყნის დაცვის საკითხში ახალგაზრდა თაობის როლზეც გაამახვილა ყურადღება.

საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ეროვნული სამხედრო სამსახურის კუთხით განხორციელებული ცვლილებები და, ზოგადად, ჯარში სამსახურის ფორმები წარმოადგენდა. სამხედრო მოსამსახურეებმა სტუდენტებს საქართველოს თავდაცვის ძალების ისტორიისა და საქმიანობის ამსახველი პრეზენტაციაც წარუდგინეს და ახალგაზრდების კითხვებსაც უპასუხეს.

2022-2023 სასწავლო წლიდან პროექტი – „ჩვენი ჯარი“, სკოლების პარალელურად, უმაღლეს სასწავლებლებშიც აქტიურად მიმდინარეობს. თავდაცვისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროების ერთობლივი პროექტი ჯარის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

# 18 წლის ხარ? — „ისწავლე და დასაქმდი“

**10 აპრილიდან გამოცხადდა რეგისტრაცია თბილისის მერიის პროგრამაზე „ისწავლე და დასაქმდი“, პროგრამა განკუთვნილია მხოლოდ თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის , მოქალაქეებისთვის და მასზე დარეგისტრირება მოქალაქეებს 18 წლიდან შეუძლია.**

თუ რას გულისხმობს პროგრამა თემაზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა **ირაკლი გვილავამ** ისაუბრა. მისი თქმით პროგრამა გულისხმობს ყველა ასაკის ადამიანისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, რომელშიც მოქალაქეებს შეუძლიათ გაიარონ გადამზადების კურსი, აიმაღლონ კვალიფიკაცია სწრაფად და შეძლონ დასაქმება.



**„ეს პროფესიები, გადამზადების კურსიც შერჩეულია იმ საჭიროებების მიხედვით, რომელიც ქართულ ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანია.**

**გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე წელია ეს პროგრამა ხორციელდება, პირველი პარტნიორები პროექტში იყო სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები, შემდეგ კერძო სექტორი შემოუერთდა და საკმაოდ საინტერესო კრებული შედგა იმ პროგრამებისა, რომლებიც ერთობლივად წარმოდგენილია საიტზე dasaqmdi.ge. რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და 65 პროფესიაა წარმოდგენილი. პროფესიები ცვალებადია, ხდება განახლება, დამატება ჩანაცვლება და მუდმივი დაკვირვება მიმდინარეობს მომხმარებელთან თუ რა ინტერესი აქვს და ასევე მიმდინარეობს დაკვირვება იმაზე თი რა სჭირდება ბაზარს.**

**მიღება გვაქვს წელიწადში ორჯერ, წელს დავამატეთ ახალი პროფესიებიც, ეს იყო ციფრული მარკეტინგი, უსაფრთხოება, ასევე საწარმოთა მართვის პროცესში შესაბამისი ნაგებობების მშენებლობებისთვის, მიწისქვეშა მშენებლობების შესაბამისი სპეციალისტები,ამფეთქებლები ეწოდებათ, ასევე კვების წარმოების მიმართულებით გვაქვს მუდმივი განახლებად პროფესიები, ტექნოლოგიების მიმართულებით ანიმაციები, რომლებიც ძალიან საინტერესოა და თოჯინური ანიმაციის მიმართულებით საინტერესო სპეციალობა შემოგვთავაზა კერძო სექტორმა, აქ ძალიან მარტივია მონაწილეობა და 18 წლის ადამიანი მარტივად ახერხებს რეგისტრაციას“ – აღნიშნა ირაკლი გვილავამ.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მარიამ გელხაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.064)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 22 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 7 მაისი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP97981624;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 979816

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი" (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ" (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა", ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP97981624; ლოტის ნომერი: 979816).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 7 მაისის 12:00 საათამდე.

# დევნილ მოსახლეობას სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ.**

ღონისძიების ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას 10-მდე პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია და სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკური გამოკვლევა ჩაუტარდათ.

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ნოვა ფიქსის" მიერ პლასტიკური მასალის წარმოებისა და ნარჩენების აღდგენის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 10 მაისი, 12:00 საათი, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობა (მის: დ. გურამიშვილის გამზ. №25რ)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **14 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი **№150** ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: პჰ ეიეც.გოვ.გე, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი **№32ა**).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 12 აპრილი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ვერიკო შუბითიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ყვარელი, ს. ბალღოჯიანი (საკადასტრო კოდი: 57.02.70.000.238 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15972.63 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 22 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 7 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP97981524;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 979815

6. **მოვალე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი;
ლევან ბუზალაძე (პ/ნ 45001032297), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP97981524; ლოტის ნომერი: 979815).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 7 მაისი 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს სალომე ჯიქიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი ჭოლები, მე-3 ქუჩა №17 (საკადასტრო კოდი: 29.06.33.034).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 22 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 7 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP97981424;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 979814

6. **მოვალე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP97981424; ლოტის ნომერი: 979814).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 7 მაისის 12:00 საათამდე.

მსოფლიო სამიტი

# წყლის რესურსების მართვა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ, ქალაქ ლონდონში, წყლის რესურსების მსოფლიო სამიტის (THE GLOBAL WATER SUMMIT 2024) ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრები გამართა. მინისტრი კომპანია „სიმენსის“ (Siemens) წყლისა და წყალარინების პროგრამული უზრუნველყოფის სტრატეგიულ დირექტორ ადამ კარტრაიტს, ესპანური კომპანია „აქსიონას“ (Acciona) აღმასრულებელ დირექტორ მანუელ მაიონის და ესპანური კომპანია „მიას“ (MIYA) აღმასრულებელ დირექტორ ნოამ კომის შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს მსოფლიო წყლის სამიტზე განხილულ საკითხებზე და ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება წყლის რესურსების მართვასა და სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

**„სამიტის ფარგლებში გავმართეთ შეხვედრები მსოფლიოს ლიდერ კომპანიებთან. გავაცანით ის შედეგები, რაც წყალმომარაგების და წყალარინების პროექტების განხორციელების კუთხით გვაქვს საქართველოში. მათგან მოვისმინეთ ის წარმატებული მსოფლიო გამოცდილება, რომელიც გარდა მშენებლობისა მოიცავს ინოვაციებს და ენერგოეფექტურ გადაწყვეტებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც. შესაბამისად, დავსახეთ შემდგომი ნაბიჯები, რომ მათი წარმატებული გამოცდილება უკვე ჩვენც გამოვიყენოთ როგორც პროექტების განვითარების, ისე ოპერირების მიმართულებით და ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი ღონისძიებები გავატაროთ,“** – განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.




კომპანია Acciona გლობალური ჯგუფია, რომელიც ავითარებს და მართავს მდგრად ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებით განახლებადი ენერგიის მიმართულებით. კომპანიის ბიზნესსაქმიანობა მოიცავს ასეთი ინფრასტრუქტურის როგორც პროექტირებას, ისე მშენებლობასა და მართვას მსოფლიოს 40 ქვეყანაში.

კომპანია Siemens ეხმარება წყლის სექტორის კომპანიებს კლიმატის ცვლილებისა და მზარდი ურბანიზაციის პირობებში ინოვაციებით, ახალი ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განვითარებით დაძლიოს სასმელი წყლის გაზრდილი მოთხოვნა და წყლის რესურსების მდგრადი დაცვა. კომპანია MIYA წყლის ოპერატორი დიდი გამოცდილების მქონე კომპანიაა, რომელიც ოპერირებს ხუთ კონტინენტზე და ორიენტირებულია წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, წმენდასა და კომერციულ მართვაზე.

წყლის რესურსების მსოფლიო სამიტზე 80 ქვეყნის 900 დელეგატი მონაწილეობდა 500-მდე კომპანიის და საერთაშორისო თუ სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლების სახით. სამიტზე მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ჩინეთის, საუდის არაბეთის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნის წყლის სექტორის წარმომადგენლებმა.

სანთელი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი**

**აკაკი ლიპარტელიანი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.




## ინფრასტრუქტურების მოწესრიგება ხალხის ინტერესით

**კახეთის რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად გრძელდება.**

**ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩის და სოფელ მაღრაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის პროცესს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.**

* * *

**სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის მოთხოვნების და ინტერესების გათვალისწინებით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს.**

**ამ ეტაპზე, 60-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, მათ შორის 31 პროექტი გზების მოწესრიგებას ითვალისწინებს.**



# გადმოვქაჩავთ ოფშორებში შენახულ სიმდიდრეს

## ვინ იხეირებს?!

**„ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკური სარგებლის მიღების მოტივით, დაჩქარებული წესით შეიტანა საგადასახადო კოდექსში ცვლილებება, რომლითაც ოფშორული ზონებიდან ბიზნესის საქართველოში გადმოტანაზე საგადასახადო შეღავათი გავრცელდება. ოპოზიციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ კანონი ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ერგება და სანქციების მიმართ გაზრდილ მოლოდინს უკავშირდება.**

ახალი კანონით, უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში კომპანია საშემოსავლო და მოგებისა გადასახადისგან ერთჯერადად გათავისუფლდება.

მარტივად რომ ვთქვათ აქტივის ოფშორიდან ქართულ იურიდიულ პირზე გადაფორმება არ დაიბეგრება. ამას გარდა, თუ ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიას სხვადასხვა ტიპის აქტივი აქვს: მაგალითად, თვითმფრინავი, ავტომობილი საქართველოში მათი გადმოტანის დროს იმპორტის გადასახადს არ გადაიხდის.

ოფშორული ზონებიდან საწარმოს გადმოტანის შეღავათიანი პირობები 2028 წლის იანვრამდე გაგრძელდება.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების ინიციატორი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე პაატა კვიჟინაძე ამბობს, რომ მათი ინფორმაციით, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულია 3 ათასამდე კომპანია, რომელთაც საქართველოში შვილობილი კომპანიები ჰყავთ და ელიან რომ ეს ბიზნესი საქართველოში გადმოვა.

**„ეს ხალხი თუ ქვეყანაში გადმოვა თავისთავად გადასახადსაც მეტს გადაიხდიან, გამჭვირვალე იქნება მათი ქცევა და ქვეყანაში მეტი ფული ჩაიდება. ეს რატომ არის ცუდი არ მესმის?!“,** – ამბობს **კვიჟინაძე.**

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში ოფშორებში კომპანიებს საქმიანობა გაურთულდათ, მეტი გამჭვირვალობაა. მონიტორინგია და გადასახადებმა იმატა. ამ ფონზე ოფშორებიდან გადიან და როგორც კვიჟინაძე ამბობს, საკუთარ ქვეყნებს უბრუნდებიან. „რადგან მსოფლიოში ასეთი ტენდენციაა, ქვეყნები ცდილობენ ეს კაპიტალი არ დაიკარგოს და მათთან წავიდეს. ამიტომ იღებენ ისეთ კანონებს, როგორზეც ახლა ვსაუბრობ“.

შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანებს, იგივე ოფშორულ ზონებს „საგადასახადო სამოთხესაც“ უწოდებენ, რადგან იქ რეგისტრირებული კომპანიებისთვის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი მოქმედებს. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ამ ეტაპზე ოფშორულ ზონად 64 ქვეყანა მიიჩნევა. ოფშორული ქვეყნებისთვის ასეთი სამართლებრივი სისტემა შემოსავლიანია. გარდა იმისა, რომ კომპანიები ოფშორში რეგისტრაციისთვის გარკვეულ თანხას იხდიან, ოფშორულ ქვეყნებში უცხოურ კომპანიებს ადგილობრივი კომპანიები ემსახურებათ, რომელთა გამოყენება სავალდებულოა.

### ეკონომიკის ხელშეწყობა თუ ივანიშვილის ინტერესებზე მორგება?

**პარლამენტის წევრი ალექსანდრე რაქვიაშვილი ფიქრობს, რომ ამ კანონის რეალური მიზანია ივანიშვილს აქტივების საქართველოში გადმოტანა გაუადვილდეს.**

როგორც ის ამბობს, ოფშორულ ზონებს ბიზნესი მხოლოდ დაბალი გადასახადების გამო არ ირჩევს და იქ სასამართლო დავების გადაჭრაც უფრო მარტივია.

**„ვინ შეიძლება იყოს (ამ კანონის) ბენეფიციარი?! ადამიანი, რომელიც ჩვენს სასამართლოს ენდობა, აქ გადმოაქვს ფული და აქაურ სასამართლოს ანდობს დავების გადაწყვეტას. მეორე, იმდენი ფული აქვს რომ უღირს ამის გაკეთება, ანუ მინიმუმ მილიონერია და მესამე, იმდენი პოლიტიკური გავლენა აქვს, რომ პარლამენტს დაჩქარებული წესით აღებინებს კანონს. მე უბრალოდ ივანიშვილის გარდა აზრად სხვა არავინ მომდის ამ ვითარებაში“,** – გვეუბნება **რაქვიაშვილი.**

ბრალდებას აბსურდულს უწოდებს ცვლილებების ავტორი პაატა კვიჟინაძე: „ივანიშვილის დროს მოხდა ყველა სიკეთე საქართველოში!.. ჯერ რატომ უნდა დაადონ, სანქცია და თუ დაადეს საქართველო მას როგორ დაიცავს?! 100 დოლარი რომ გადარიცხო „თიბისი“ ბანკიდან საქართველოს ბანკზე ამერიკის ბანკების გავლით უნდა მოხდეს... რაც შეეხება აქტივებს, აქ საუბარია მხოლოდ იმ აქტივებზე (რაც) ოფშორშია და ამ კომპანიას საქართველოშიც აქვს წილი“.

მმართველმა პარტიამ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს „აგენტების კანონის“ პარალელურად დაუჭირა მხარი. ამ კანონის გამო ბოლო დღეებია პარლამენტთან ათასობით ადამიანი იკრიბება, ხოლო საერთაშორისო პარტნიორები ამბობენ, რომ ეს კანონი საქართველოს ევროკავშირს აშორებს.

რაქვიაშვილი ფიქრობს, რომ ეს კანონი ივანიშვილს სანქციების გავლენისგან მნიშვნელოვნად ვერ დაიცავს, მაგრამ გარკვეული ტიპის პრობლემებს მაინც აარიდებს.

**„ასეთი კანონით მაინც ვერ დაიცავ ფულს თუ სერიოზულად გებრძვიან და მხოლოდ „მსუბუქ“ სანქციებს გაექცევი. მაგალითად, მე რომ საბანკო ანგარიშზე დოლარები მაქვს, ის შეიძლება ტექნიკურად „თიბისი“ ბანკის ანგარიშზეა, მაგრამ რეალურად ამერიკაში ინახება, ამიტომ ამერიკელებმა რომ დამასანქცირონ თანხას მაშინვე დავკარგავ. ამიტომ თუ დოლარებზეა (ივანიშვილის შემთხვევაში) საუბარი ამ კანონით სანქციებს ვერ გაექცევი“.**

### რატომ დაჩქარებულად?

**ოფშორებიდან ბიზნესის გადმოტანის გარდა, საგადასახადო კოდექსში ასევე შევიდა ცვლილება, რომლითაც მოქალაქეებს სხვადასხვა ტიპის დავალიანება ჩამოეწერებათ.**

კვიჟინაძე ამბობს, რომ ოფშორების ნაწილს „დასაჩქარებელი არაფერი სჭირდა, მაგრამ რადგან ორივე ცვლილება საგადასახადო კოდექსში შედიოდა, ერთადაც მიიღეს.

**„დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბები (აგენტების კანონი) და აჟიოტაჟი რომ არ ყოფილიყო ეს თემა ჩვეულებრივად ჩაივლიდა, რადგან ოპოზიცია თავად გვეუბნება ხოლმე რომ რაღაც ზომები უნდა მივიღოთ რომ ოფშორიდან კაპიტალი აქ ჩამოვიდეს“,** – ამბობს **კვიჟინაძე.**

**მარიამ ვარდაშვილი**



# ოპიზის ტკივილიანი ისტორია

ფოტოგრაფი, **გოგა ჩანადირი** სოციალურ ქსელში მორიგ პოსტს აქვეყნებს, სადაც ოპიზის ტაძარზე საუბრობს.

**„დღეს ასე გამოიყურება ოპიზის ტაძარი კლარჯეთში. ტაძარი 1965 წელს ააფეთქეს, რომ გზა გაეყვანათ.არადა, მანამდე 1000 წელი იდგა გუმბათიანი ტაძარი, მანამდე კი – 500 წელი ბაზილიკა“,** – წერს **გოგა ჩანადირი.**

# ქართველები ვენეციის ბიენალეზე,

## ანუ „დანახვის ხელოვნება“ ქართულად...

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 19 აპრილს თანამედროვე ხელოვნების ვენეციის მე-60 საერთაშორისო გამოფენაზე – ვენეციის ბიენალეზე, საქართველოს ეროვნული პავილიონი გაიხსნა პროექტით – „დანახვის ხელოვნება – ასტრონომიის მდგომარეობები“.**

საქართველოს ეროვნული პავილიონი ევროპელი სპეციალისტების შეფასებით შვიდ აუცილებლად სანახავ საუკეთესო პავილიონს შორისაა. ამგვარი მაღალი შეფასება პირველია საქართველოს ვენეციის ბიენალეში მონაწილეობის 20-



წლიან ისტორიაში. პროექტის წარმდგენია თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „არტვილა გარიყულა“, ხოლო საქართველოს წარმომადგენელი ვენეციის ბიენალეზე – ხელოვნებათმცოდნე მაგდა გურული.

გამოფენის კონცეფცია 2024 წლის ვენეციის ბიენალეს – „გლობალურ მოდერნიზმს“ ეხმიანება, რომელიც გლობალური სამხრეთიდან დაძრულ მოდერნისტულ ტალღას ასახავს. პროექტის კონცეფცია ქართველი ხელოვანის, პოეტისა და მწერლის, ილია ზდანევიჩის (1894-1975) მემკვიდრეობას უკავშირდება და მისი საარქივო მასალის ახალ გარემოში წარდგენას ისახავს მიზნად.

უკვე მესამე წელია, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს ეროვნულ პავილიონში ეწყობა ხელოვნების რეზიდენცია ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის.

წელს 14 ახალგაზრდა თანამშრომელი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან შვიდი თვის განმავლობაში იმუშავებს საქართველოს ეროვნულ პავილიონში და მნიშვნელოვან გამოცდილებას მიიღებს.

კულტურის სამინისტრო პროექტის მთავარი მხარდამჭერია. პროექტის მხარდამჭერები არიან ასევე თბილისის მერია, რუსთავის მერია, კომპანია „მაგთი“, „სილკ როუდ ჯგუფი“ და ევროპელი სპონსორები. გამოფენის ნახვა 2024 წლის 24 ნოემბრამდე იქნება შესაძლებელი.

# საქართველოს ეროვნულმა არქივმა ფილმების ელექტრონული კინოკატალოგი შექმნა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივსა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დაცული კინოდოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიღება ამიერიდან ონლაინკატალოგიდან იქნება შესაძლებელი.**

ვებპროგრამაში შეტანილია ინფორმაცია მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმების, კინოჟურნალებისა და ქრონიკალური კადრების შესახებ. მასში ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია რეჟისორის, ოპერატორის, მსახიობების, გადაღების წლის, თემის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. კინოკატალოგში ამ დროისათვის შეტანილია ინფორმაცია 500-ზე მეტი ფილმის შესახებ.




პროექტის პრეზენტაცია ეროვნული არქივის კინოთეატრში კინოფოტო-ფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორმა, გიორგი კაკაბაძემ გამართა. ღონისძიებას კინოინსტიტუციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# სანამ დედასა და ბუნებას დაუბრუნებენ, მანამ ბათუმში დარჩება...

**მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარედ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მურა დათვის ბელი იპოვეს.**



გამომდინარე იქიდან, რომ მისი დაბრუნება ბუნებრივ გარემოში ამ ეტაპზე საფრთხის შემცველია, მტირალას ეროვნული პარკის რეინჯერების და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩართულობით, დათვის ბელი ბათუმის ზოოლოგიურ პარკს გადაეცა.

# გორი ქუჩის მხატვრობამ დაამშვენა

**გორის ერთ-ერთი კორპუსის ფასადზე ორი სტრიტარტი თბილისი MURAL Fest-ის მხატვრებმა ბესიკ მაზიაშვილმა, დავით სამხარაძემ და თინათინ წოწოლაშვილმა შეასრულეს.**

კორპუსის სამხრეთ ფასადზე დაიხატა ქართული სუფრა, რომელიც „ლურჯი სუფრის“ სახელითაა ცნობილი. ნახატზე გამოყენებულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სუფრის ორნამენტები.

ჩრდილოეთ ფასადზე გორში დაბადებული ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის პორტრეტი განთავსდა. ინიციატივის მიზანი ქუჩის ხელოვნების პოპულარიზაცია, ქალაქში არსებული ფასადებისთვის საინტერესო იერსახის მიცემა და ტურისტებისთვის მიმზიდველი ახალი ადგილების შექმნაა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6711; ევრო - 2.8453;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3223;
100 რუბლი - 2.8623; თურქული ლირა - 0.0819;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5709;
1000 სომხური დრამი - 6.7967

**ამინდი 22 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +26 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე +28 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge